

გივი ალხაზიშვილი

ქორონიკონი

„მერანი"
თბილისი
2006

უაკ (UDC)894.631-1
ა 545

რედაქტორი მილიცა ჯაფარიძე

მხატვარი გიორგი წერეთელი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა თამარ ბუჯიაშვილის

ISBN 99940-860-7-3 © გ. ალხაზიშვილი, 2006



ქორონიკონი

დროს მოაქვს, დრო ისევ მოიტანს,
თითქოსდა შეისწავლა გამოწვლილვით _
საკუთარ წრეხაზზე მბრუნავი მოედანი,
მგონი, არაერთხელ სახელგამოცვლილი.

ძველებიც არიან, ჭადრიდან ჭადარზე
დაფრენენ ყვავების ახალი თაობები,
ქუჩაში ხელი აქვს გაწვდილი კათარზისს
და შენ გეშინია გულის დაობების.

მრავალი წელია, ფანჯრები უმზერენ
ცვალებად ტანსაცმელს, ცვალებად ჰაბიტუსებს,
რუსული მაყუთით ნაყიდ მაუზერებს
და კედელს, სადაც მრავალჯერ აიტუზე.

შენც ხომ ერთ-ერთი ხარ, ერთი _ მილიონში,
ვინც თვალი გაუსწორა სულით დაობლებას,
ჭარბობს სისხლისფერი შენს მელანში,
გწყურია სიტყვებით დროის დაუფლება.

რა ხავსისფერია სიძველე კრამიტის...
აბანოთუბანი, კალა, სოლოლაკი...
მივალ მაჩაბელზე, ვწუხვარ, აქ რა მინდა
და ყურებს მიბურღავს მე სოლო ლაქიის.

... ოთხმოცდაცამეტი, დღე _ მარტის ცამეტი,
რატომღაც სულ ბოლო იმედსაც ამაცლის,
მიწა რა ცოტაა, სანაცვლოდ ცა მეტი,
დაგვმარცვლავს, ჰაერში გაგვაბნევს დამარცვლით.

არ ახსოვს თოლიები მტკვარზე ბარათაშვილს,
ორიათასხუთის ივნისის ცამეტია,
მისი ვებერთელა წიგნი კარადაში
ველარ შევმალე და გულში ჩამეტია.

* * *

... და ეს დღე სიმია, მისი ხმა დილიდან
ისმოდა, თანდათან მიწყდა საღამოთი,
მშვიდად ვეთხოვები მუსიკოსს _ დილეტანტს
და იგი მეორე დილამდე აღარ მოდის.

შენ რომ აჟღერდები ჩუმად, ღამის სიმო
და გამოაღვიძებ სხვა სიმებს მითვლემილს _
ჩურჩულებს ბაღებში ფოთლების ბრავისიმო,
შენი ხმით შემკრთალით იმ ხმებში ითვლები.

არ გითქვამს არაფერი ავადმყოფ ცოლისთვის,
გულში გადამალე მეუღლის ანკეტა
და ისევ მთვარეა მდუმარე სოლისტი _
სხივებით მპოვნელი თვალების სარკეთა.

შენში ილექება ბგერებად დაშლილი
სამყარო, ფეთქავენ დღეთა ნარჩენები
და შენ გეშინია ობოლი ბავშვივით
ბნელი გარეუბნის ბოლო გაჩერების.

მთების მონახაზი ასომთავრულია,
ქალაქს რომ გარს უვლის დღისით და ღამითაც,
მდინარის დინება გახსოვს მთვარეული,
რომელიც გამოდის გაბმული გამიდან.

მღერის ჭრიჭინების ორკესტრი კამერული,
მუსიკას ყურიდან ყურში ატარებენ
მთვლემარე ფანჯრები, ღამით გამურული,
ვიდრე ჩაუვლია ბოლო მატარებელს.

ვიოლინოებად და ღამის ალტებად
იქეცით წუთებო, დუმილს ინაწილებთ,
შენი სატკივარი სიზმრად აალდება,
სადაც ღამეული ხმები მიგაცილებს.

* * *

... და ეს ხმა წვეთია, გაფანტულ ხმებიდან
რომ ვერ გამოარჩევ, თუმცა ოკეანეც
ტალღების დედაა, ფიქრით ეხები და
უკანვე გაბრუნებს სივრცე მოკრიალე.

ვარსკვლავმა თვალები რომ გადამისერა,
მას მერე მზერიდან გამჭოლი მდის სხივი,
რომელიც ისრუტავს დროს და მყისიერად
დედდება უძველეს სიტყვათა სისხლივით.

თუმცაღა სიბერის ედება ხმას ხავსი
და ბზარი ხრინწიან ბგერების გამოა,
ასე რომ გაღრმავდა. თვალში კი ხასხასი
იმ მოლის, რომლიც ჩემს მერე ამოვა.

ქარში მოტეხილი იფნის რტოც ასეა,
სულებს მოანგრიეს სხეულთა კარკასი,
მიდის მიხაკების, ვარდების პროცესია,
ჟამი იფერფლება სიტყვების კარგვაში.

წუთებო, დღეებო, ნაბიჯით იარ!
მიიღეთ სხეული მზეში განბანილი,
შეხედეთ, ბალახი რარიგ ბეჯითია,
ყველას ეფინება გულზე საბანივით.

* * *

ქელეხის სუფრისკენ ქაოსურ მსვლელობას
აცილებს ჭივჭავთა ჟღურტული,
დინება, დინება ცნობილ მსანსვლელების,
დროდადრო მშიერი ტიპების ბჟუტური.

ქალს სკამი დაუთმეს, რატომღაც ითაკილა,
სხვებსაც გაერიდა, გაურბის საქმროებს,
მგონი, ქალბატონი არის ითაკელი,
დეკოლტეს ღიმილს თვალები ვერ აქრობენ.

სკამების ჭრიალი, ჩხაკუნი დანა-ჩანგლის,
მწუხარე თვალებში ღიმილის ჩამალვა,
შევკრთები ამ სცენით მრავალჯერ დანაჩაგრი,
ღია სარკმელივით გავყურებ ამ ალვას,

რომელიც ირწევა ნიავის სუნთქვისას
და ყველა ჩვენთაგანს შეიგრძნობს ფესვებად

და აქ მყოფ მარადღეს _ უხილავ გულთმისანს,
უცნობი თვალები ამ ხალხით ევსება,

რომლებიც თანდათან მიემგზავრებიან
და გზას დაეძებენ საუფლოს,
ჩვენი ბაგეები შიშის ბზარებია,
ვიხსენებთ, ვივიწყებთ, ვსაუბრობთ.

ჭიქიდან ჭიქამდე ანარეკლს ქარვისფერს
გახედავს ხორბლისფერ თვალებით კოლიო
და იმ ხმას, რომელსაც არავინ არ ისმენს,
გულდასმით ინახავს ხსოვნათა სქოლიო.

შუადღე

რაც დამალულია და რასაც დრო ფარავს
გულში ძგერს ჟამი-ჟამ, გული _ მონა ხსოვნის,
ივსება შრიალით და როგორც დომფალა
ჰკიდია სამყაროს ძაფით მონაქსოვი.

დროს კლავენ ეზოში შემთვრალი კაცები,
დახლართულ ლიანდაგს იშენებს დომინო
და ვიღაც, შემკრთალი მრავალჯერ დაცემით,
მიჰყვება შუადღის სევდიან დომინორს.

მზე გაფუებულა და ზეცა ვარცლია.
ქალაქელ ბეღურებს, გვრიტებს და ყვანჩალებს,
არ უნდათ იცოდნენ დროს როგორ მარცვლავენ
ესენი და ლოთი, აქვე რომ ჩანჩალებს.

სხივი რომელიღაც, რომ გაენდო მინას,
იბრწყინებს, შეამჩნევს: ლარნაკში ვარდია
და კორპუსების წინ ნარდი და დომინო,
დაჰყურებს ბოგანო მაგიდას ნარდიანს.

დასიცხულ ქალაქში ბოგანო ბოგინობს,
შეამჩნევს სახლს იქით დამწვარი სერია,
დაღამდი, დაღამდი, გეწვევი ლოგინო,
რომ გავყვე ძილსა და სიზმრების სერიალს.

* * *

ჩვეულებრივი ბინდი არი,
ბინდმა ღამურების ფრთები ხომ მოისხა,
რომ ისე გავიგონო ჟამი მიმდინარი,

როგორც ბავშვობაში ჰობოის ხმა.

დაუვიწყარ ხსოვნას ვინ იშორებს,
მე რომ მოვიშორო ფრაგმენტები
ტაქტის ჟღერადობის. ხელი დირიჟორის
გამაბნევს, რადგან სხეულში არ ვეტევი.

ქალაქელი გლეხი _ ჩემი მეზობელი
ღამეულ მუსიკას არ უსმენს,
საუბრობს იგავებით ეს ცრუ ეზოპელი
იმ დროზე, რომელიც ყუთივით დალურსმეს.

ჯერ გულში იღვიძებს დარდი დაფეხვილი
და მერე თანდათან იქცევა სხეულად,
იცინის კიბის ყველა საფეხური,
მბჟუტავ სინათლეში ჩახვეულა.

და ცხოვრობს კორპუსი და ლიფტის საკნები
კოშმარულ სიზმრების წყვდიადში ჩადიან.
რაღაცას ამბობენ ნაცნობი საგნები
და რასაც განვიცდი, ორთქლივით მჩატეა.

რა საკვირველია შენ რომ გამახსენდე,
ბინდმა ღამურების ფრთები ხომ მოისხა
და წაშლილ სიტყვათა გაფანტულ აქცენტებს
ისევ გააცოცხლებს შორი ჰობოს ხმა.

და მახსოვს თანდათან ჩავლილი საღამო,
წყვეტილი სიტყვები და რბილი ლასები,
სადღაც გაშლილია წიგნი სააღაპო,
სია მომლოდინე უცნობი არსების.

* * *

ქუჩების ზიზღნარევ თვალებში გათანგვა,
მტკვრიდან კი წარსულის ნიავი უბერავს,
რისხვის ლაგამია მწარე ლაგამთაგან,
ეჭვია ზედ გულზე დასმული წურბელა.

სად მივალ, საითკენ, ვის მივეკედლები?!
ვიცი, რად არ ვწერდი ამ ლექსს ადრე,
ოდესღაც ამ ქუჩით დაქროდნენ ეტლები
და ეტლმა იმსხვერპლა პოეტი ალექსანდრე.

გათავდა _ ამ სიტყვას დაისის მზე ჩაჰყვება
და ჩვენც ხეებს ვგავართ ხვატით გატრუსულებს,
ჩვენ ახლა მანქანა თუ დაგვეჯახება,
ჩრდილში, ელექტრონის ბოძთან ატუზულებს.

კარი ჩარაზული, მხოლოდ იშვიათად
თუ გადავაწყდები ღიმილს თავაზიანს,
შენ ერთი იყავ და ფიქრით იშვი ათად,
ოცნება შენშია და ცის თავანზეა.

მიჰყვა მეცხრამეტეს მეოცეს ნაზავი
და ოცდამეერთე, ვინ იცის სადაური,
თავად ჭავჭავაძის ჩოხის კალთასავით
ბორბლებში ჩაითრევს, ჩვენს ჩრდილებს გადაუვლის.

არის ალბათობა _ განვუტევო სული,
ნაპირი ვერ ვპოვო, რადგან არ არსებობს...
მე ხომ თქვენს ფიქრებში ვიყავ შემოსული,
თქვენი წაყრუება მესმის, ათასებო.

იქ, სადაც რუსთაველს შეერთვის ჭავჭავაძე,
ამაყად შემომხედავს თეატრი საოპერო,
კალამს ძველებივით სისხლში არ ჩავაწებ,
ვნატრობ, გარდასულმა ქარმა წამობეროს.

მომავალ წარსულისკენ წამიყვანს აღმართი,
ვიქეც ამ სახლებად, ჭიშკრებად, ძველ უბნებად,
სინანულს უმიზეზოს მე ისევ ვაღმერთებ
და ვგრძნობ, ქვაფენილი რასაც მეუბნება.

წავალ და ვიპოვნი ვინმე თანამოძმეს,
შევალთ დუქანში და გამოვცლით ერთ ლიტრას,
ეს ჩემი სხეულია, ვიხსენებ, თან ვამოწმებ,
როდის ჩამოვვარდი საწუთროს ეტლიდან.

* * *

ეს შენი ცა არი, თვალებით სადაც გინდა
წახვალ და ბოლოს მზერას მეჯიხურის
იქ გადაეყრები, სადაც ჩანს მთაწმინდა
წუხანდელ ყინვისგან კალთებშეჭირხლული.

გადაშლი გაზეთს და თავს იგრძნობ პეტიტად,
სადღაც გაგისხლტება განცდა მშვენიერი,

კენკავ განცხადებებს შრიფტების ფეტვიდან
და ვიღაც გკარნახობს: ეს ცა შენი არი.

იქ, ორი ღრუბელი ერთმანეთისაკენ
მიიწევს ზოზინით, ესწრაფვის ერთობას,
მტკვარი კი _ ქალაქის ერთადერთი სარკე,
აღმოსავლეთისკენ დინებით ერთობა.

ფიქრობენ თვალები მზერით გადაღლილი
სადმე შეისვენონ, ოღონდაც აქ არა,
ხესთან მათხოვარი იდგა თავდახრილი,
აღარ ჩანს, საკუთარ თვალებში გამქრალა.

შეშლილი მიდის და მის წყვეტილ ლექციას,
ნერვიულ მიმოხვრას დასცინის გლეხუჭა,
ხომ ჯობდა ცოტა ხნით, რომ გვერდი გექცია,
ანდა ყველაფრისთვის თვალი მოგეხუჭა.

თუმცა თვალის ფსკერზეც ცეკვავენ ლაქები,
წრეში იდღაბნება ფერადი დავლური,
იღლები გაბნეულ ციტატის ლაგებით
და ქალის სხეულის შიშველი მთავრულით.

ეს ცაა შენი თვალების მომპარველი,
იგრილებ გამშრალ ყელს «ყაზბეგის» ყლუპითაც,
შენს ფიქრებს აწყობილს შავი ნონპარელით _
ვიღაც აკვირდება სამყაროს ლუპიდან.

გარეუბანი

ვუმზერ უმიზეზოდ მოწყენილ გეორგინებს
და სხვა ყვავილებსაც, არგაშლილებს,
გრაალს გაახსენებს ევაგრე ორიგენეს,
განი მათ საუბარს გულით აკავშირებს.

მაქვს თვალსაწიერი ამოშენებული
ყოფითი დარდით და მეძებს გზა საუფლო.
მათთვის არ არსებობს ჟამი ჩვენებური,
ვინ იცის, იქ როგორ სხდებიან სასაუბროდ.

საზამთრო, საზამთრო! ყვირილს ინდმეწარმის

სდევს მრავალხმიანი კითხვა: რა ღირს კილო?
შემსწრეა გლეხკაცი, მგონი, იმდენ წარღვნის,
რომ ცდილობს აგვისტოს შეუხსნას ღილ-კილო.

მღერენ იშხნელები, ერთგული ვარ დების,
მათი სიმღერები თვალებს მიწყლიანებს
და ფანჯრის რაფაზე ჩინური ვარდები
ჰყვავიან, ეჟვანიც სხვაგან მიწკრიალებს.

ჩაივლის მავანი, პირველსაუკუნელს
ვამჩნევ ლეღვის ხესთან, მე მგონი, ზაქეა!
უცნობის შეცნობის სურვილს განუკურნელს
ვინც გაიმეორებს, სარკეთა სარკეა.

წუთმა უვრცელესმა რამდენი იარა,
მას უკვე არაფერი აღარ აგულისებს,
კიბის სახელურზე მიცოცავს ხვიარა
და მიწვდის ყვავილებს ღია აგურისფერს.

ვზივარ ფანჯარასთან, ჩრდილი თვლემს რაფაზე,
იღვიძებს, როდესაც მავანი გაჰყვირის.
გლეხკაცი და ვირი, «პირველის» ნაფაზი
და ჩქამი მრავალჯერ გაწყვეტილ აღვირის.

* * *

სადაც თვალს აბჟუტებს მზე _ ბებერი ლომი,
ღრუბელი ლელიანს ჰგავს შეფერილობით.

ვიღაც, ანარეკლთა უხმო გადაძახილს
აგრძელებს უნებლიე პირჯვრის გადასახვით.

ბგერებით სავსეა წუთების სარქვლები,
მზეს ადევნებიან მაღალი სარკმლები.

ბგერები ვოლტორნის, ფაგოტის, ალტების,
მოვა შეღამება ახალი ბრალდებით.

უფალო, შემინდე, უფალო, მაპატიე,
რომ ვერ დავეხსენი მტანჯველ აპათიას.

ჰქონდეთ ეს ცხოვრება, მუდამ ამათია,
მყოფნის ეს სამყარო, რაც მე მაბადია.

უღლება

ეგ ნათითურები არ ახსოვს იმ საგნებს,
მაგრამ ჩუმად ყოფნა საგნების
გააჩენს ნიშან-წყალს ხსოვნათა მისაგნებს
და იგი სიტყვებით არის მისაგნები.

თუმცაღა სიტყვებიც გულშივე დნებიან,
უფსკრულის ბაგეა ნაპრალი ხმოვნების,
რომელიც ისრუტავს ჩემს ხმას ვედრებიანს,
რითაც საზრდოობენ ალვები ახოვნები
და კენწეროებით ხატავენ ფიგურებს
ზეცის ლურჯ ტილოზე და შლიან ამავე დროს,
აქა ვარ, ფოთლების წინწკლებში მიგულე,
მინდოდა ცხოვრება სიტყვად გადამედნო.

ერთი ნაბიჯია ბგერიდან ფერამდი
და ამ ნაბიჯებით მიდიან ეს დრონი,
ხომ გახსოვს, შენს წარსულს სულს რომ უბერავდი,
ნავლიდან გამოჩნდა ფანჯრები რესტორნის.

ქალაქი _ საზკვების მრავალ ობიექტით
გადატენილია და გადავსებული,
ხომ გახსოვს, ხმელ ტახტზე მძიმედ რომ მიეგდე,
თვალებში გამკრთალი ცა არარსებული.

იქითკენ, იქითკენ, იარე იქითკენ,
ხსოვნაში ჩაბეჭდილ ქუჩების კონტურებს
ჩამოფხეკს ჟამი და სხეულსაც იქ იტკენ,
ტკივილი არ ახსოვთ ჩონჩხებს მოკუნტულებს.

ძველშავით შემთვრალი თვალი შუშის არის,
ყველა სხივს ირეკლავს უაზროდ მბრწყინავი,
შიშით გალეული, გული უშიშარი
და გზა გაუვლელი, თითქოს რომ წინ არი,
მოიწევს, მოიწევს, ფეხებში გებლანდება,
ბზუის თავის ქალა, ვერ უძლებს ეს სკა მზეს,
სურვილებს ვერასდროს გავიგებ ლანდების,
ისინი დროდადრო სხდებიან ძელსკამზე,
რომელიც ვიღაცას წითლად შეუღებავს,
მყვირალა წითელზე ნისლივით მუხლები,
გრძელდება ქუჩების ქუჩებთან შეუღლება
და ზმნა არ იღლება უღლების უღლებით.

* * *

უსმენ შემოდგომის ფოთლებს მოჩურჩულეს _
მზეს მიფიცხებული, ფიქრში გალურსული,
აფხიზლებს მუშტაითს პატარა ორთქლმავლის
კივილი და ბრუნვა ძველი კარუსელის.

ნავების, ცხენების ბუტაფორიებზე
სხედან, კისკისებენ და შვილიშვილების
მალე დასრულდება მბრუნავი ხალისი,
წამოიზლაზნები და მიეშველები
პატარებს, რომელთაც უბრწყინავთ თვალები
და კარუსელიდან ჩამოსვლა არ უნდათ,
ითხოვენ გაგრძელდეს მათი სიხარული
და ისე იხარონ, როგორც უხაროდათ.

უსმენ მოშრიალე ბაგეებს ფოთოლთა,
ხსოვნაშიც ჩურჩულებს გამქრალი მილეთი,
სადღესასწაულო პაუზას აგრძელებ
მესამე ბრუნვისთვის შეძენილ ბილეთით.

შენც დროს იხანგრძლივებ, ჩავლილი დღეების
გესმის რეკვიემი და ზოგჯერ კანტატა,
არ ფიქრობ ბავშვები თუ გაგიხსენებენ
და იმ წრეს შეერწყმი, რომელიც თანდათან
ჩერდება, თუმცაღა ბრუნავს ინერციით,
ჩურჩულებ: ყოველ დღეს, ყოველ წუთს გიმადლი!
რა გამჭვირვალეა შენი სინანული _
ნაყოფი პირვანდელ სინათლის.

ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილი

აეროსტატი, რომელშიც ვირი ჩასვეს, მუშტაითიდან მაშინ გაუშვეს, როცა მიხეილის საავადმყოფოში ალექსანდრე ყაზბეგი სულს ღაფავდა.

ჩვენი ოცნება, როგორც ვირი აეროსტატში _
მოწყდა მიწას და აედევნა ხალხის ყიჟინა,
როცა აფრინდა.
იწვა შეშლილი და ბნელ დუმილს სიტყვის ნაწყვეტი
კაწრავდა ზოგჯერ, ამოჰყავდა მზე არაფრიდან.

თვალს აყოლებდა მიხეილის საავადმყოფო
ბურთს საჰაეროს, ლაჟვარდებში ვირს უცნობილესს _
ბრიყვს და გრძელყურას.

იწვა შეშლილი საკუთარი ღამის წყვდიადში
და «ვარსკვლავებით ამოჭმული ზეცა» ეხურა.

იყო ქალაქი ბედნიერი და უხაროდა,
აეროსტატი და სახედარს ფრენა თანდათან
რომ იპარავდა.
იწვა შეშლილი, ტალღებივით ხტოდნენ კუნთები
და მძიმე სუნთქვას რუხი ფარდით გრძნობდა პალატა.

ამ ჟრიამულის, ამ ყაყანის და საოცრების
ახლოს სუნთქავდა მწუხარება, მუდამ საკუთარ
თავის მშთანთქმელი.
იწვა შეშლილი, მოისმოდა ჩიტის გალობა _
საიქიოსკენ მიმავალის ბოლო სათქმელი.

გაოცებული დაჰყურებდა ქალაქს მაღლიდან
ვირი ყველაფრის მომთმენი და თან სიჯიუტის
დიდი ოსტატი
და მიფრინავდა გაურკვეველ მიმართულებით
ჩვენი ოცნება _ სახედარი აეროსტატით.

საფლავი ცაში

«ოთახი წყნარი, როგორც ფურცელი»,
დუმილის სუნთქვა და შთამბეჭდავი
სწრაფვა, რომელსაც გზა მოუცელეს
და შეიწირეს ო, მანდელშტამი.

ცაში ეძებდა იგი საფლავებს,
მოგვიანებით, როგორც ცელანი,
სიკვდილი სეზონს არ ჩააფლავებს
და მხარზე ცელით დადის მცელავი.

ვლადივოსტოკი. ოცდაცხრამეტი.
ცად გაეპარე მტანჯველ სიმკაცრეს,
სადაც უმწარეს დროს აცხავებდი
და გული ლექსით ამოიკაწრე.

იცი? ცელანმა ჰპოვა სენაში
სიტყვა, საითაც ხელს აცეცებდა,
ხოლო მკითხველმა გაიხსენა შინ _
ზეცაში საფლავს ვინც დაეძებდა.

სიზმრად ხედავდი თბილისს კუზიანს,
დუქანს, «თელიანს», მკვნესავ საზანდარს

და ცის საფლავის ის ალუზია
პაულ ცელანის ლექსშიც განზავდა.

ორი პოეტი ცას მიებარა,
იქ არის მათი თავშესაფარი,
ორივეს ღრუბლის ქულა ეფარა
და ჭირს მიგნება ცაში სამარის.

ადგილს იცვლიან ცაში ღრუბლებიც,
ბოღმით ნათქვამი მესმის ნაბიჭვრის:
_ ელოდე, ვიდრე დაიღუპები,
ჰაერში ვინმე საფლავს გაგიჭრის.

* * *

დუმილში ჩატოვე გაფიქრება,
არ გინდა მტანჯველი ხილვები შენც ხატო,
სათქმელი არ წამოგცდეს, მიივიწყე,
რომ არ გაცოცხლდეს და არ გამოგეცხადოს.

დარჩი უწარსულო საწუთროს ამარა,
გაკრთობს მომავალი სუნთქვა ამ დუმილის
და უცნობ ბინაში წამლის შუშას
თვალებით მოსვამს დავრდომილი.

ეზოში უპატრონო ძაღლები დარბიან,
ისინი ღამეს ყმუილით გამოხრავენ,
გაბმული ტკივილით დამუნჯებულები
თვალებით მეტყველებენ, არ ოხრავენ.

...და ბაღში სულ ბოლო ყვავილი _
კორპუსის თვალთვალის შემკრები,
ჭკნება დაჟინებულ მზერისაგან,
ვიღაცის თვალებში შენ ქრები.

შენი მისამართი და შენი უბანი
აშენებამდეც კი ახსოვდა ქარს,
საწუთრო ძუნწია და ხელმოჭერილი _
ვერც შეევაჭრები ამ სოვდაგარს.

გვიანი შემოდგომა, წვიმიანი,
აყალო ნაფეხურს ინახავს თარგივით,
წვიმით რომ ივსება და მერე ლივლივებს
ცის ანარეკლების ენაზე თარგმნილი.

თანაიმქვეყნელი

დ-ოს!

შენი სული აქვეა, აქვეა,
ამ კიბედ, ამ აივნად, იმ საგნებად
იქცა საუკუნე წასული ფეხაკრეფით;
შენ როგორ შეძელი სახლამდე გზის გაგნება.

იქ ხომ აღარავინ ცხოვრობს, აღარავინ,
სიჩუმე იქცა მარტოსულ დედაკაცად,
რომელიც დაფრენს ლანდების ბაღებში,
გაშალა სიფრიფანა ფრთები და დაკეცა
იმ პეპელასავით, წუთებს რომ არ ითვლის,
რადგანაც წუთი გრძელდება უსასრულოდ,
შენი სული აქვეა, აქვეა,
ძმაო, აწმყოსაგან გულწასულო.

შენ ხარ, შენ ხარ, საიდან მოსული
თანაიმქვეყნელი და თანამოხმე,
ჩემი დუმილიდან აღმოცენდი
და ჩემს დუმილშივე არ ამოხმე!

ხელს ვერ ჩაგკიდებ და ვერსად გამოგყვები,
ან შენთან წამოსვლას ვის ურჩევ?!
შენ ხარ სარკმელი ციდან მომზირალი,
თავისთვის მსუნთქავი ჰაერის სილურჯე.

შენი სული აქვეა, აქვეა,
კამკამა და გამჭვირვალებით
გამსჭვალავ ჩემს სიტყვებს და სივრცე
სავსეა თვალებით, თვალებით,
რომლებიც მიმზერენ ყოველმხრიდან
და შენ იხედები ჩემგანაც,
მაკვირვებს, ეს წუთი თავის სიღრმით
გასულ საუკუნეს როგორ დაემგვანა.

მე არ ვარ დასასრული და არც დასაწყისი,
მე ვარ ხმოვანი სიტყვის შუაში,
ჩემს სახეს ნაოჭების იეროგლიფებით
ვიღაც გადახატავს ასფალტზე გუაშით.

* * *

პწკარები ჩნდებიან, როგორც ნაოჭები,
გაკრული ხელწერა ასლია დინების,
შენიღბულ განცდათა სამალავო ჭებო,
თქვენს სიღრმეს სიტყვებით წავეპოტინები.

რადგანაც ყოველთვის სიტყვაა მაშველი,
რომელიც მორევიდან ამომიყვანს,
ღიმილი ცინიკური _ ერთგული საშლელი
გადამშლის, ო, წაშლავ, რა საამო იყავ.

როგორ მიხარია, ჩემი მოსასხამი
ჩრდილი დამიბრუნდა და კუდს მიქიცინებს,
გრძელდება საღამოს ჩურჩული მომნუსხავი
და სადაც მე ვწვები, ჩრდილიც იქ იძინებს.

თავის მნიშვნელობას იბრუნებს საგნები,
ბრუნდება ყოფა და მინავლულ ფორიაქს
დარჩება ქაღალდზე ჩემივე ნანგრევი,
ნაჩხაპნი, რომელსაც მრავალი ფორი აქვს.

აწმყოს ვეკითხები: _ სადაა შენი ბინა,
დროო მშვენიერო და თანაც საპყარო?!
წუთმა უვრცელესმა ყველგან შეირბინა
და ახლაც ეხეტება მუდამ უსახლკარო.

აფთიაქთან

«თავი ჩემი _ შენი ბაბუაწვერა: მხოლოდ შეუბერე...»
ჯონ ეშბერი

მხოლოდ ხსოვნაში მეორდება, რასაც შევყურებ,
თუ სინამდვილე ბოლო ასლი არი ხეივნის,
თვალით რომ ვერწყმი და შრიალით სმენას მოწვდება,
თითქოს ყოველთვის ბედნიერი და არხეინი.

ამ მოჩვენებით სიხარულში ზოგჯერ გაისმის
ძველი მუსიკის შესავალი წყვეტილ ფრაზებად,
რომ გაამხილოს დაფარული არსის ნამცეცი,
ვიდრე დუმილის სიმუნჯეში ჩაირაზება.

ეს აფთიაქი წითელი ჯვრით, გზაჯვარედინთან,
კენწეროების ჯვრებთან მდგომი, თვალს ვიტრინების
აღარც ახელს და აღარც ხუჭავს და ავადმყოფურ
ნეონის შუქზე მეც უაზროდ გავიტრუნები.

თუ სულ ერთია, კოჭლი ძაღლი საით გადარბის,
მომლოდინეთა თვალები რად აკვირდებიან,
სად დაეცემა და ყმუილით რად შეახსენებს
ღია ფანჯარას, სახლის წარსულს აკორდებიანს.

ბაღების რწევა, გულის რწევა, რწევა სიტყვების,
ჩამსხვრეულია ფიქრით თვალი და ქარით მინა,
თურმე ტკივილიც ყვავილია, ისევ იშლება
და გულში ჩუმად არსებობა არ დაითმინა.

* * *

ჩამქრალა ხალისი, ოდესღაც გადამდები,
უხმოა წუხილი და გადამდებია,
დამთავრდა არჩევნები ვადამდელი
და შენი სიკვდილიც ვადამდელია.

ბზინავენ გაკრეჭილი გაზონები,
სკვერია მზით სავსე ხელისგული,
მაფიქრებს ღიმილი გაზომილი,
თვალები უძილობით შენისლული.

მუსიკას უგემოვნოს რატომ ვუსმენ
და ის, ვინც დავკარგე, სად წავიდა?!
ავზი უხილავი მიკროავტობუსის
სავსეა ბაიათის საწვავითაც.

ეს დღეა სიკვდილის კვლავ გადავადება,
ხსოვნაში იღვიძებს სურნელი ლავანდების,
ჩრდილი მდინარეში რომ გადავარდება,
ისევ გაგრძელდება სიცოცხლე განვადებით.

მე აქ არ ვყოფილვარ, ფიქრით სხვაგან ვიყავ,
ამ სიტყვებს გამოჰყვა მკათათვის ალები,
ღმერთი მოწყალეა, სხვაგან არ გამრიყავს
და ეს სიცოცხლეა დღეს ჩემი ალიბი.

თითქოსდა შეირყა, რაც იყო ურყევი,
გამქრალა აფრის თუ იალქნის ამშვები,
ბრჭყვიალა ვიტრინებს ბურღავენ, ბურღავენ,
თვალები ბავშვობაწართმეულ ბავშვების.

ქალაქის ბგერები: ქრომატულ გამიდან
გრძელდება ატონალურ დინების აზავთება,

მე ვცოცხლობ ჩემშივე არსებულ ჩქამითაც,
რომელშიც უცნობი დღეები განზავდება.

* * *

ვზი და ვიხსენებ დუქანს, «თელიანს»,
ჰო, ეს ზარხოში წუხანდელია.

ფანჯრის რაფაზე სხედან გვრიტები,
შევყურებ, თითქოს შენ გაკვირდები
და არც კი ვიცი, ხმავ, უნებლიედ
გულიდან როდის ამო-გვრინ-დები.

ჩამოხსნა ცოლმა ლანდი საკიდარს,
ძველი ქურთუკის ჩქამი ლანდია,
ვერ გამოვედი იმ ასაკიდან,
რომ დამავიწყდეს, რაც მიბლანდია.

მე არაერთხელ მომჩვენებია,
რომ უცხო თვალი მომჩერებია.

გულცივმა მზერამ კვლავ დამიშალა,
რომ ჩემთვის ვიყო, როგორც ნიჟარა.

დაუდგათ გვრიტებს ჟამი პეპლობის,
აცუნდრუკებულ ფიქრში ვეფლობი.

დღე-ღამის «მინი-რალი»

და ისევ სიტყვების მინერალი _
აღარც მაჟორული, აღარც მინორული,
რაღაც ორჭოფული, განცდა _ ბინარული,
რითმები, ცხადია, მანერული.

ამ ბავშვს მოერევა მალე რული,
თვალს ლულავს, თვალი ებლიტება,
მუსიკა მალერის, დარდი მალერული,
კი არ მეწურება, გული მეფლითება.

ოდინდელ ცეცხლის აგრძელებს ფერფლი თემას,
ეს სიტყვა ჩამქრალი ცეცხლის ალი არი,
ღალატს შემაჩვიეს მე ფლიდებმა,
დღეს შავად მიღებავს ღამე - «მალიარი».

ცდა და ვერ გამოსვლა იმ ამაო წრიდან,

სადაც გროვდება სიტყვების მინერალი.
ჯერ ისევ არსებობს, არ ამოიწრიტა
და ჩემთვის გრძელდება დღე-ღამის «მინი-რალი».

* * *

აღარ გეძინება, რაღაც გაიბზარა,
ბზარი აჩურჩულდა შიშის ბაგესავით,
აღარ გადაჰყვები ღვინით კაიფს არა,
კიდევ რაღაც დაგრჩა კალმით საკემსავი.

ხვნეშა მეზობლისა ბეტონში გავიდა
და ფხიზელ ჰაერში თანდათან იშლება,
ჩრდილების ანბანი აგრძელებს თავიდან
კედლებზე ცოცვას და სიტყვის მინიშნებას.

და ის სახეები, შენ რომ აგეკიდა,
შენში განაგრძობენ თავის არსებობას,
ამ ქუთუთოებზე, მგონი, აქ ეკიდა
სიფათი, დილიდან რომ ითარსებოდა.

და მაინც, რა იყო გასული პარასკევი _
ორიოდ პაუზა დილიდან ღამემდე,
როცა მეტაფორა დარდის გამნასკველი
მეძახდა, მეძახდა და მე არ გავენდე.

ახლაც მეორდება იგივე მუსიკა _
უცვლელი რიტმით და უცვლელი ჟღერადობით,
ფერებად ლაგდება ვრცელი მოზაიკა _
ხილვა ალქიმიურ ხსოვნის შენადნობი.

უცნობი თვალები, მზერა გამჭოლავი
გზას გადამიკეტავს ძილისკენ წასასვლელს
და იმ სახეებმა, მე რომ გამჭორავენ,
სიტყვებად დამშალეს და ისე ჩამსანსლეს.

ჩემი ვალიუმი _ აბის ნახევარი
შემოაქვს ჩემს ექიმს, ბრუნდება შემოვლიდან,
ღია ფანჯარაში ცის ნახევი არი,
ვარსკვლავებიანა შინ რომ შემოვიდა.

და თვალის მილულვა საფიქრალს ამრავლებს,
ჟამი თან იწყება და თან მიიწურა,
ის სიტყვა დასცდება ბაგეთა ნაპრალებს,
რომელიც საკუთარ სივრცეში მიცურავს.

* * *

ჩაქრა სინათლე. ლამპის შუქზე ვეძებთ ერთმანეთს,
ვსხედვართ შორიშორ და თვალები ჩაგვღამებია,
როგორც ნუჟრები
იმ ხეებისა, უსიცოცხლოდ რომ გაყურსულან;
თანდათანობით ჩვენც თვლემაში შევიყუჟებით.

შეორთქლილია ჩვენი სუნთქვით ფანჯრის მინები
და რასაც ვფიქრობთ, ისიც სხვათა ნაფიქრალია,
მათ მოძრაობას
ოდესღაცინდელს ვიმეორებთ და გვახსენდება,
რომ ამ დუმილში გადასახლდა ყველა თაობა.

მაგრამ ჩვენ დავრჩით ექოები გამქრალ ექოთა,
ვაგრძელებთ ყოფას და ვჩურჩულებთ მორიგეობით
სიტყვებს ადრინდელს,
გასუსულია დიდი დიღმის ბნელი ბაღები,
ნეტავ, ამ ბაღებს დეკემბერი ჩამობარდნიდეს.

მესამე თვეა, რაც შვილმკვდარი დედის ქვითინი
ანგრევს ამ კედლებს და ხანდახან არყევს სახურავს
მწარე გოდება
და გადის ჟამი მოჟამული, თუმცა სიცოცხლე
ეძებს სინათლეს და შეერთვის დროს აკორდებად.

ცხელია ჩაი, ასდის ორთქლი, როგორც ჩვენს სიტყვებს,
ჩაისთან ერთად დროს რომ ვწრუპავთ, დროც მომწყურია,
ჩუმად გვაბერებს,
წარმოიდგინე, რომ ჰობოის ბაგით შეეხე
და მივიწყებულ სამყაროთა სუნთქვა ჩაბერე.

რათა იფრინო იმ ბგერებთან ერთად ჰაერში,
რომ ჩამკვდარ გულებს გაახსენო ძველი სიმწყობრე
და უნებურად
შეაგრძნობინო ის პირველი წუთი, რომელიც
დღესაც გრძელდება და მივყავართ ჟამს ძველებურად.

* * *

არც დამშვიდობება, არც სადმე გაქცევა
და აღარც ცრემლები თვალს მოლივლივენი,
დარწმუნდით, უბრალოდ, მე აქ კი არ ვწევარ,
უფალთან წავედი ხანგრძლივ მივლინებით.

არც რეკვიემი და არც საგალობელი,

მხოლოდ მზე და მზეზე მბრწყინავი მინები,
მე თქვენთვის დავტოვე ის საგა, რომელიც
მდინარეს წააგავს უშრეტი დინებით.

მდუმარე ღიღინში ღივდება მარცვალი,
ამოვა სინათლედ სინათლის მძებნელი,
აცალეთ, აცალეთ, დუმილი აცალეთ,
ის მზისკენ იზრდება დროებით მზებნელი.

მე აღარც კი ვიცი, რას გეტყვით უკეთესს,
ვერც მაშინ გეტყოდით დრო თუ კი მაცლიდა,
ეს ხელნაწერები ღუმელს შეუკეთეთ,
რომ ამოვიხედო მინავლულ ნაცრიდან.

ღამეს თავისი დრო ამოუწრეტია,
ინათა, გავხდები მე, ალბათ, სამოცდა.....
იმ პირველ ბგერაში ჩემი ხმის წვეთია,
ახლად გაღვიძებულ ფრინველს რომ წამოცდა.

გაქრობის შიში

უსახურავო და უკედლებო,
უსაზღვროებით შემოგარსული
სუფევს დუმილი _ ხსოვნის სახლია,
სადაც ჯერ კიდევ ფეთქავს წარსული.

იგი აწმყოსაც ჩუმად ისრუტავს,
ნებით შეერთვის წუთებს მიმავალს,
თავის საგნებით და ფიგურებით
ყველა დრო ჩემში გადამიმალავს.

მახედებს ყვავის ფრთების ტყლაშუნი
გარეთ და მისი ჩრდილი სავსავით
გადაცურდება და აღსავსე ვარ
შენზე ფიქრით და ვბზუი სკასავით.

არ ველოდები უკვე არავის,
არც იმას ვნაღვლობ, სადღაც რომ მიცდი
და ერთმანეთზე ნატვრის სარკმელი
უთქმელი სიტყვის სხივს გამომიწვდის.

და ყველა დროის ხილვა ყოველი
შემაკრთობს და მტვრის ნაწილაკივით
ამ სხივის ჭავლში აათამაშებს

განცდას, რომელიც უხმოდ გაჰკივის.

მაგიდა მკლავთა ჩამოსაყრდნობი,
ქუთუთოებში სივრცის ჩატევა
და დრო, რომელიც მალავს სინანულს,
ვშიშობ, არ გაქრეს, ისე მჩატეა.

ინტელექტუალეთი

ჩემი ძველი პალტო ახალ პალტოებთან
ეკიდა საბრალოდ, როგორც ჩამომხრჩვალი,
რაღაც უამური განცდა არ მტოვებდა,
იგი ამჟამადაც ზიზღით ჩამომჩხავის.

იწყება სპექტაკლი ფოიეს სცენაზე,
ფრანგული სუნამო პოულობს ნესტოებს,
ფიტული მიჰყვება ხელკავით სინაზეს
კეკლუც ქალბატონის და მარტო ვერ ტოვებს.

კაბების შრიალში იღვიძებს სიო და
სიამის შარიშურს თვალები არ თმობენ:
_ ხომ გახსოვთ, აქ შარშან ძალიან ციოდა...
_ ეს შარშან, ახლა კი მშვენივრად ათბობენ!

გაქუცულ პიჯაკის საყელოს გაქექილს
როცა აღმოაჩენს, სარკესაც რცხვენია,
იფიქრე, იფიქრე, ფიქრია საკენკი...
უცნობის ჩურჩული: _ ეს ქალი ცხენია!

ბაგეზე ჰკიდია მკვდარ პეპელასავით
რიოში ღიმილი ცარიელ ჰაბიტუსს
და სამკაულების ციმციმა ნაზავი
თვალებს გაგინათებს, რატომღაც ჩაბინდულს.

ესენი ერთმანეთს ზომავენ თვალებით,
«ყორანს» არ ზომავდა ედგარ პო დუიმით,
თან მიირწევიან, თან მიდანდალებენ
მონაწილეები ერთგვარ პოდიუმის.

აქ, თითქმის ყოველი ცრუ აქტიორია,
არ გიკვირს, გაქცევა შინ ადრე რომ გინდა,
მიაღწევ გარდერობს წინსვლით აქტიურით,
ტყვე რომ გამოიხსნა ამ გარდერობიდან.

ჟამიანობისგან ანატირი ჟამი

აშთობს, მწუხარება ვინც არ დაითმინა,
დარდით აღსავსეა გული _ დირიჟაბლი,
ქალაქს გადაუვლის მისი არითმია.

«ლაკმე» გაიხსენე, «ლაკმე», ჩემო პალტოვ,
და ბუტაფორიის ყრუ ამოოხვრამდე
იქნებ დეკემბერმა ბაღი ჩამობარდნოს,
ვიდრე ბითურები ერთურთს გამოხრავდნენ.

ჭორები ვრცელდება თურმე ჰაერითაც,
აღარ ჩერდებიან მოდიალოგენი.
თუნდაც მოუსვლელში წადი, გაერიდე
თვალებს, განათებულს ზიზღის ჰალოგენით.

შენც კვდები თანდათან, გული გეღვენთება,
მიდიხარ შხამით და ჭორით გალახული,
თბება ისტორიის ბნელი აღმართები _
ძვლებით დათესილი, ახლად გადახნული.

მოდიან, მოდიან! აქ განა ბრბო მოდის?!
ზერელე ფრაზებით ისეთ მთხლეს თუ ავლენთ,
რითაც იკვებება ქალაქის ბომონდი,
თქვენც შეემატებით ინტელექტუალეთს.

N-ს

ისინი, საკუთარ მღვიმეში ვინც სხედან,
ამ მღვიმის სქესია, მგონი, მდედრობითი,
თავისივე სხეულს აღწერენ, ვით ცხედარს _
გახრწნაში ჩარჩენილს. მანამდე დრო მიდის,

რომელიც ოდესღაც დაიწყო ბრეტონით,
გვიან გადმოიღო წიგნი დამტვერილი,
საკუთარ წყვდიადში ბრწყინავს მეტონიმი
კედელს მინარცხებულ ჭიქის ნამტვრევივით.

ხელოვნურ პეპელას არქმევს მეტაფორას,
სიტყვა ქინძისთავით მეც ხომ მიმიკრია,
ისევ გვეცინება დღეს მე და ბორიას,
ამხელს მსახიობსაც უნიჭო მიმიკრია.

ლექსით თუ გწყურია მღვიმის განათება
და ცივ ოფლს გამოყოფს შუბლი _ მაცივარი,

გაერთე, ამისთვის არ გელის ანათემა,
იგემე ნაყოფი სუბლიმაციური.

ხომ ჯობდა გადაგვედნო მე და შენ ის ღამე
სისხლით ნაკარნახევ რიტმის გაჯიბრებით,
როდესაც წუთები ჟრუანტელს ისხამენ
და ქრება რეალობის თვალები _ ქაჯი ბრები.

რადგან ამაოა შენთვის შეგონება,
აწებე, აწებე უაზრო ნაკუწები,
შენივე ხელები სხვისი გეგონება
და თავს მეტრფესავით წაელაქუცები.

ბროწეულის სისხლით დაცვარულ ხერხემალს
დავხედავ სიბრალულით, განა შურით,
შენ სიმულაციაც აღარ გეხერხება,
რაღას გაანათებ ჩამქრალ აბაჟურით?!

* * *

ბარის ბარბაროსთა ხივილი,
ბაზარი: აქეთური, იქითური,
გოგონას ხელოვნური ღიმილი,
თვალები ჩამქრალი _ ფრიგიდული.

ეს ჩვეულებრივი ყოფითი კადრია,
დრო თავის ფირიდან, ცხადია, ამოჭრის,
რაიმეს ყოველთვის რაღაცას ადრიან,
თბილისსაც, ამ მთების ლაჯებში ამოჩრილს.

მიდის შემოდგომა ზამთრისაკენ,
სარკესთან საეჭვო ქალი ამრეზილა,
და თვალს რასაც მოკრავს, დათვლის სარკე,
სარკისთვის უცხოა ამნეზია.

მოძველებულია განა თემა?!
იხსენებ სიტყვებს ღვთაებრივ ქადაგების,
სხვაგვარად უყვარს განათება
ფერწერულ ტილოებს და სივრცეს ქანდაკების.

ხომ გთხოვე, ცისაკენ არ იყურო,
შენთვის ამოუცნობს ქადაგებს ცა,
შენ ზიხარ, უნებლიეთ გარიყულო,
ფანჯრები თვალებად გადაგექცა.

დეკოლტეების და მთვარისფერ მუხლების
ტექსტებს წაკითხულებს ფსკერი უჩანს,
პატარა, ლამაზი, დაუღლელი
ფუსფსუებს ძველისძველი ქუჩა.

გსურდა, მილეთი შეგეყარა,
როცა მოგეჩვენა ეგნატე ლოიოლა
და წარმოიდგინე ეს ქვეყანა
უთვალავ ორკესტრად და როიალად.

ჩვენ ვართ კლავიშები, ბევრის მნახველები,
ბგერები, ტონები და ობერტონები,
დროდადრო რაღაცას ვამბობთ ჩახველებით,
დავეძებთ სიმაღლეს რომელ დონეების?!

და ამ ქარაფშუტა შარდენბარის
მოჩანს მოტივტივე ზედაპირი
და პატივცემული გვამი, აქ მდებარე,
უყურებს ამ დარბაზს გულაგის ეტაპივით.

დავყოთ ყველაფერი, თუნდაც, ეტაპებად,
ლექსი _ ტაეპებად, პროზა _ ქვეთავებად,
თუმცაღა, მე ახლა რა მეტაეპება,
ოდეს იდიოტი მედროვე მედავება.

დავყოთ მუსიკა აკორდებად,
დავშალოთ ბგერებად აკორდები,
ნეტავ, ახალა ვინ მაგონდება,
შემთხვევით, შენ ხომ არ მაგონდები?

* * *

«...ეს საუნჯე ჩვენ გვაქვს თიხის ჭურჭელში...»
2 კორინთელთა მიმართ 4;7

ის მზე რომ ჩავიდა, შენში ჩაიმალა,
რათა დაგავიწყდეს დრო გაბითურების
და მიაყურადო, თიხა რომ ჩურჩულებს
ამბავს სინოტივის და ნათითურების.

დოქია მთხრობელთა ხმების შემნახველი,
გამომწვარ თიხაში ჩარჩენილ მრავალ ხმას
დუმილმა წაართვა ათასი სახელი

და გადაურბინა სიმღერით ბალახმა.

უთვალავს აჩუქა ამ დოქის სავანე,
ერთ ტემბრად აქცია მეთუნემ ოქტავა
და თიხის შრეებში ჩამალულ ბინადრებს
ვეღარც წარმოიდგენ ოდინდელ მოკვდავად.

ძველი ალბომიდან გადმოსულ სურათებს,
როცა ფანჯარაში ვარსკვლავი ინთება,
ვერ იტევს ოთახი. დოქი ამღერდება,
როდესაც კედლები ღვინით ეჟღინთება.

ის მხოლოდ დოქია _ ჭურჭელი მავანთა,
იქ იგულისხმება მრავალი, ასევე
ტუჩებით, თვალებით, ღიმილით, ცრემლებით
და მათ უხარიათ, ღვინით რომ ავსებენ.

შენც იქ ხარ, შეიგრძნობ უცნობს და შენიანს,
შენ ხარ მერიქიფე და დოქის მსახური,
სახელურს, ათასი ხელი რომ შეაცვდა,
იფარავს ხატება ჯვარგამოსახული.

ცოდვაა, ეს დოქი რომ იდგეს უღვინოდ,
სწყურია თიხასაც, ჩვენგანვე მოზელილს,
რომ სიცარიელის სიშიშვლე დამალოს
თხრობის ჟრუანტელით და შესამოსელით.

* * *

სველ ფილაქანზე ილექება მქრქალი ლანდები, _
შინ ბრუნდებიან.
ხელისგულები ბუდეებია,
ხოლო თვალები სარდაფები და ვერანდები.

ძველი დუქანი. ძველებურად არ ვერანდები,
ცოტას გადაკრავ,
ბაღი ნოემბრის. ქარვა გადაქრა
და მიჰყვებიან ზამთრისაკენ ლანდებს ლანდები.

ბზარია გულში _ ჩემი სახლი და სამალავი.
დრო ქარაქუცა
ვის გააღმერთებს და ამალა ვის
აედევნება ღრიანცელით ცრუ და ლაქუცა.

ბნელია ფსკერი. სიბნელეში ჩუმი დაშვება,

სუნთქვა მქროლავი
და წუთი წუთს რომ ეთამაშება,
ყოფილი წუთის უნებლიეთ ამომქოლავი.

დაუვიწყარი წარსულიდან ისმის ქორალი _
ჟამთა შემკრები,
ბგერები ძლივსღა გასაგონარი
და ელვარება ანარეკლთა ანარეკლების.

ნაკვალევი

ქუჩა _ პალიმფსესტი. ახალ ნაფეხურებს
წამით იმახსოვრებს სველი ფილაქანი,
ყოფის ზედაპირზე თვალებს აფახურებს
გარემოებებით კმაყოფილი ქალი.

მისი გამოხედვა ზუსტი ასლი არი
იმის, ხუთშაბათს რომ წარსულს მიაბარეს,
მე გადავიღალე დროის ამ სრიალით,
ცივი ბაგეებით, დროო, მეამბორე.

ქარი მოთარეშე, მაგნიტური _ კივის,
უნდა ამოძირკვა, მგონი, იმ მცენარის,
ვისაც ენატრება მშვიდი ცხრაკლიტული,
სადაც მეტი დრო და მეტი სივრცე არის.

სადღაც გადამალვა უყვარს ვითომ გივის,
სადაც ზეიმია ხსოვნის აკვარელის
და დღე გასრულდება გაბმულ ლიტურგიით,
ქუჩა _ პალიმფსესტი. წაშლა ნაკვალევის.

ღამის ოთახი

ტირიან ბავშვები ღამით. ქრება მთვარისფერი კალთა.
სიჩუმის სუნთქვაში ისმის, ჩქამი მოფუსფუსე ქალთა.

ბგერებით გაბზარულ დუმილს, ხელი უჩინარი არხევს,
სარკმელში შემოდის ჩრდილი, ჩრდილი წამოზრდია მკვდარ ხეს.

უცნობი მიჰყვება კიბეს, ნაბიჯს იმეორებს ექო,
იღვიძებს მთვლემარე შიში, შენში ჩამალული ეგო.

თვალებში გუბდება შუქი, შუქი _ ჩარჩენილი ხსოვნა,

დამარცვლულ სიტყვებში ხმოვნებს უჭირთ ბაგეების პოვნა.

ნანინა ამშვიდებს ბავშვებს, ტკივილს მდუმარება წაშლის,
მაგიდას შერჩენილ ლამპას უმზერს გაკბეჩილი ვაშლი.

შემოდი, ვეძახი უცნობს, უფრო ახლოვდება ჩქამი,
მაგიდა, სიჩუმე, ბინდი, უცხოს მომლოდინე სკამი.

ოთახის სიჩუმემ შთანთქა ბგერა _ მოქათქათე გედი,
ნანინა, ნანინა, ნანა _ გულის აღმოხდომა დედის.

საღამოს ძილი

თავისთვის ფხიზლობს ოთახში სარკე
და საგნებს თვლემა რომ მოერევა,
ყველაფერს ხედავს, მაგრამ ვერ არკვევს,
რომ გარინდული დრო მორევია.

იპოვნის სარკე სინათლის მისხალს,
ააციმციმებს ვარსკვლავს მოგონილს
და ისეთივე ჩრდილნათელს ისხამს,
ბინდის ოთახში ცხოვრობს როგორიც.

მძინარენი კი ტოვებენ სახლებს.
უკვირს სიზმარში გადასახლებულს _
გაღვიძებისას ხელს რომ ვერ ახლებს,
ვერც გაიხსენებს ხილვას ახლებურს.

დრო ძილ-ღვიძილში თანაბრად გადის,
პარალელურად, გზებით სხვადასხვით,
მთავრდება დღე და იწყება დარდი
ჩამავალი მზის სისხლის გადასხმით.

წიგნისათვის _ Angelus Philologicus

რასაც შენ იხსენებ, ის ხვალაც იქნება
და გამეორდება ყოველდღე, ხელახლა,
სიტყვას შეუძლია იმ ჟამის მიგნება,
რაც შენ მოგეჩვენა, რომ წარსულს შეახმა.

ხომ ისევ მოელის თავის ქალა ქებას,
მისი ქედმაღლობა ახლაც როგორ ისმის,

ღამის ძაღლებივით ყეფენ ქალაქები
სექსინდუსტრიის და ცვედნურ კომფორმიზმის.

ის, ვინც მივიწყების ხავსით შეიმოსა,
წავიდა, ჩაყუჩდა, ყველას გაერიდა,
მოსალოდნელია ახლაც შენი მოსვლა,
ცეცხლოვან ამოსუნთქვას ვიგრძნობ ჰაერითაც.

ჩვენ ვართ ბოლო ჟამის ტალღათა ფურცლიდან
სიტყვები, ისევ რომ ჩურჩულით უხმობენ
იმ წუთის დადგომას, რომელიც უცდიდა,
ერწყმოდა სიცოცხლეს დიადს და უხმობელს.

ჩვენ ვართ ნამცეცები დაფარულ წერილის
და თვალის გახელაც _ ნიშანი უწყების,
შეიცავს გულისხმას ბევრჯერ დასერილის,
ბოლო ჟამისკენ რომ ჩუმად მიუძღვები.

ყეფენ ქალაქები ღამის ძაღლებივით,
ჯერ დრო აქვთ, იყეფონ, იყეფონ,
კოშმარულ სიზმრებით ასე აღრენილნი
ნადავლს და ნაქურდალს იყოფენ.

და ჩვენ, პერსონაჟებს ერთადერთი წიგნის,
დღე-ღამის ფურცლები არაფერს არ გვიმხელს,
გულის თვალს, საწუთრომ რომ ამოგვიგლისა,
ერთხელაც, ტკივილის სინათლე აგვიხელს.

.....
.....

«პახმელია»

ეს «პახმელია» _ გუშინდელი თრობის სქოლიო,
საკუთრივ თრობის ძირითად ტექსტს აღემატება.
ავადმყოფური ფიქრებით გრძნობ აზრის სქოლიოზს,
გადაშლი ოთხთავს, ვიღაც გეტყვის: _ ნახე, მათეა!

გადასწევ ფარდას და ფანჯარას აღებ, ნათება
გააჩახჩახებს დახშულ ოთახს ამომავალ მზის
და ეს მზე ახლა ყველა სხვა მზეს აღემატება
ასჯერ, ათასჯერ, უფრო მეტად, უფრო მრავალგზის.

შენ, როცა გინდა, დროს აჩერებ და დიფუზიურ

წარმოსახვაში სასმელს ეძებ ალკოჰოლიანს,
რადგანაც შენი ალტერ-ეგო დიდი ბუზია,
იმასვე ბზუის, რაც ღამიდან წამოჰყოლია.

შეჩერდი, წამო! ეს ცხოვრება, როგორც საცობი
უნდა ჩააგდო ღვინის ბოთლში ძველი მაკრატლით.
ნუ იძაბები გადაღლილი ამდენ ანცობით,
ყურს ნუ ათხოვებ ცოლს, რომელიც კვლავ მაგრა ტირის.

ორიოდ ყლუპი. პური. ხელი მივა ყუამდე.
გაღეჭავ ლუკმას და ჟრუანტელს მიაყურადებ.

ლექსი, რომელიც დამხვდა მაგიდაზე

რატომღაც ღამით იღვიძებდნენ გარდაცვლილები,
ვითომ ცოცხლებზე, ცოცხალ-მკვდრებზე გადაცვლილები.

ისე ჰყვებოდნენ ამ ქვეყნისას ამბებს ადრინდელს,
საიქიოს და სააქაოს ერთურთს ადრიდნენ.

ერთად ვისხედით მაგიდასთან და საათობით
ჩვენ თავს ვიქცევდით ხუმრობით და მასლაათობით.

რომ გაკრთებოდა ძილ-ღვიძილში წუთი ზარმაცი,
საიქიოსკენ მიდიოდნენ ბარბაც-ბარბაცით.

მერეღა მივხვდი, მე და მე რომ დავრჩით მარტონი,
ყველა მათგანი რომ ამ ლექსის იყო ავტორი.

03

დროში ჩაიმალე, სადაც აღმოაჩენ,
რომ ქრები და შენ ხარ არაფრის მფლობელი,
«დაკარგე თავი, რომ ხელახლა იპოვო»,
თუნდაც ეს კედელი მხრის მისაყრდნობელი.

სიტყვები ამოვა გულიდან შრიალით,
სიტყვები ყველგან და მუდამ და სულ როა
და შენი ღიმილი ღაწვზე გარბენილი,
დარდში ამოზრდილი სუროა, სუროა.

ვინ არის წინაპარი?! ახლა ერთდროულად
შენ ხარ წინაპარიც და შთამომავალი,

წახვალ ფეხაკრეფით, უკან იხედები,
ასე მიდიოდა და წავა მრავალი.

სიტყვები სულ ოდნავ ღია სარკმლებია,
რასაც შენ დაეძებ, იპოვი გაყუჩებით,
მბრუნავი წრეების წრეებში წრე არი
და ჰორიზონტების ცივი მარყუჟები.

ცაზე გამოჩნდება ვარსკვლავი კუდიანი
და გაფიქრებაც კი შეგზარავს,
რომ იმ კუდს ირეკლავს თვალი მომაკვდავის,
ვისაც უცაბედად გული გაებზარა.

მთვარეა თავმდგომი, ავადმყოფს ფანჯრიდან
დაჰყურებს ნაღვლიან თვალების ლაქები,
მიწის სიბნელიდან ეხმიანებიან
მიმქრალ მაჯისცემას მკვდარი ქალაქები.

დუმილს მოყურადეს და მარად გასუსულს
ნემსივით გაუვლის სირენა 03-ის
და ხელი, ჰაერში სიტყვას რომ დაეძებს,
თვალწინ ჩამოჭკნება მოტეხილ რტოსავით.

თეთრი ხალათების გადაჩურჩულება,
გახსნილი საფულე _ ძველი პრეამბულა,
ტუმბოზე გულგრილი მოჩანს ნატურმორტი _
ვაშლი მონაკბეჩი, შპრიცი და ამპულა.

ქალაქის ბაღი

რა უნებლიეა პეპლის მიმიკრია,
სექტემბრის ფოთლებში მზის ცხრაფრად ნათება,
შენ იცი? გაგიმხელ, ბევრჯერ მიფიქრია
ამ ბაღში ჩაკარგვა და ჩაფარფატება.

შენ სახელს მივანდობ ქაღალდს ფარატინას,
ქვიშაზე არ ვიცი წერა და რა ვიღონო,
ფოთოლზე ნახატი ვისი ბარათია,
ვკითხულობ, თან ვუსმენ, რათა გავიგონო _

შუადღის ნიავზე როგორ აშრიალდა,
გული უხილავი იძახის ამ სივრცეთა,
ბაღის ორკესტრები ბგერებს აშლიან და

იმათ იგონებენ, ვინც აქ თავს იქცევდა.

სხედან მოხუცები მზეს მიფიცხებული,
გრძელდება ფრაზების ამოფარფატება,
იმ ტექსტში, რომელიც არ მივიწყებულა,
აწმყოს აღარ უნდა სიტყვის ჩამატება.

დრო გადის წარსულის ხელახლა გამოხვრით,
უეცარ ღიმილის ცრემლში გაზავებით,
უსიტყვოდ დარჩენილ ფიქრს ამოიოხრებ,
რაღაცის პოვნა სურს ხელს გასავსავებით.

წყვილები იწყებენ ბაღში გვიან მოსვლას,
აქვე სეირნობენ ეტლებით ჩვილები,
ბებრები მარცვლავენ აწმყოს _ კრიალოსანს,
თან გზას გაჰყურებენ ხელის მოჩრდილებით.

იქ, სადაც ერთმანეთს ეძებენ ხელები,
და სწრაფად პოულობს ბაგეებს ბაგენი,
ცმუკავენ ბებრები ბევრის მნახველები,
რაღაც ახსენდებათ ოდესღაც ნაგემი.

შეიგრძნობს ჰაერი უჩინარ რხევებით
ხილვას, ბუნდოვანმა წუთმა რომ მოცელა,
სურნელით, შრიალით დადიან ხეები
და მალე წაიყვანს ბაღებს ფოთოლცვენა.

* * *

მოსწონს ანარეკლი ხიდს ხიდის,
ისმის გიტარის ხმა და სიმი შვიდია,
რომ არა კახპების ხითხითი,
რა ბიბლიური სიმშვიდეა.

რაღაც გაიბზარა სარკესავით
და ვგრძნობ გულს, დაკემსილბზარიანს,
ჩურჩულებს ჭრილობის დამკემსავი:
ხედავ, ძველი სარკე სიზმარია?!

შენ გახსოვს, რა გითხრა ქალაქმა:
კარებსაც აღიქვამ ჩიხებად,
ვინც ყველა სურვილი ალაგმა,
საკუთარ დუმილში გადაიჩეხება.

გახსენებს ნიავის შეხება

ბავშვობას და ჟრჟოლას გახატავს ლოყაზე,
სადღაც ძაღლს წამოეყეფა
ტკივილი, ხელით რომ მოხაზე.

ხმის შეცვლა

ხმას იცვლის დროდადრო მდინარის სიმდორე,
ივიწყებს უთვალავ მზერას და თაობას,
ვინც ვერ ამოღერღა სოფლის სამდურავი,
გულში ჩაიგუბა და იქცა ჭაობად.

ხმას იცვლის წვიმა და გაბმული წკრიალი
ფილაქანს, გაზონს და ასფალტს ესხურება,
დაწინწკლულ მინების თვალები წყლიანი
მხედავენ, მათ უყვართ ოთახში ყურება.

მე უკვე მომწყინდა ქუჩისკენ გახედვა,
ხმას ვიცვლი დოქივით, ღვინით რომ ივსება,
დავიწყებ უცნაურ სურვილის გახედნვას,
სიტყვებში მომწყვდეულ ხმის გათავისებას.

ხმას იცვლის ნიავი, ჩქამიც კი სველია,
იფიქრე, როდესაც კიბეზე არბოდი:
სუყველა წავიდა, ვინც წასასვლელია,
ვინც მოსასვლელია, რატომღაც არ მოდის.

ბოლთას სცემ, თითქოსდა აბიჯებ ვიღაცას
და ყოველ ნაბიჯის უყრუეს ბგერიდან,
არ იცი, კითხვაზე პასუხი ვინ გაგცა,
რომელი არ შეცბა და არ მოგერიდა.

ხმა აღწევს მომავალ წარსულის ბაგიდან:
_ ამ დუმილს გასუსულს ბუზსაც ვერ აუფრენ,
აიღე სკამი და მიუჯექ მაგიდას
და ხელზე დაყრდნობილ თავს გაესაუბრე.

ხმას იცვლის ოთახი, სიჩუმე უშრეტი
მხოლოდ მე მეკუთვნის, მარტოდენ ჩემია,
თითქოსდა სიმია ყოველი უჯრედი,
ხოლო ეს კალამი ხემია.

მოხუცი ცოლ-ქმარი

სახლსაც ენატრება გაქცევა სახლიდან
და მხოლოდ ფანჯრები გადიან
ქუჩისკენ, რომელზეც ჩრდილები დახრილა
და სადაც ნიავი _ ბაღების გადია
ხეებს უნანავებს, აღარსად იჩქარის
და ყველა გამვლელი გიყურებს,
როდესაც ჭრიალით იღება ჭიშკარი
და აჩენს ასი წლის ფიგურებს.

კითხვის ნიშანივით წელში მოკაკული
მოხუცი გამოდის სახლიდან,
დაღლილი ხელჯოხი იქით მიკაკუნებს,
სადაც გაუხსნია სავაჭრო დახლიდარს.

ვიღაც ფარდის იქით ლანდივით გაკრთება,
ვის ემშვიდობება თვალი ჩაბჟუტული?!
ის იქცა თიხად და თიხისფერ ნაკვთებად
და თიხის ბაგეებს არ უყვარს ბჟუტური.

მიმქრალი თვალები, თიხაში ჩასმული,
ქუთუთოს დაკარგავს, რომელიც გაუცვდა,
ჩემი მომავალი და მისი წარსული
ერთმანეთს შეხვდა და ორივე გაოცდა.

დროსა და სივრცეში ჩვენ გავცვლით ადგილებს,
ხოლო ადგილების კვლავ გადანაცვლებით
ჯამი არ იცვლება, რაც გაგვიადვილებს,
ვიყოთ ამოუთქმელ სიტყვათა მარცვლები.

* * *

ჩამალულია იგი შენში. თანდათანობით
დილის მზესავით თვალებში რომ ამოცურდება
დროის სიღრმიდან,
იწყებ წუთებით, შემოდგომის ფერად ფანქრებით
შეფერადებას, მივიწყებას, რაც გულს გიღრღნიდა.

უცნაურია, რომ აქ ხარ და თითქოს ჩაგესმის,
დედამ ოდესღაც რომ გშობა და შენი სიცოცხლე
ამოკვნესა,
შენი დღეები ექოების ექოებია
და ძველ ჭრილობას ისვე გიხსნის, ვინც ამოკემსა.

აი, რა ჩანდა სამარშრუტო ტაქსის ფანჯრიდან,
რაც მისხალ-მისხალ შეიკრიბა და დროდაკარგულ
ფიქრში ჩასახლდა
და მოვა იგი _ ღვთაებრივი რესტავრატორი
ხავსს გადაგაცლის და აღგადგენს, როგორც ნასაყდრალს.

გზაჯვარედინზე შუქნიშანთა ცივი ნათება
და სამი ფერის უწყვეტელი მორიგეობა
მუდამ სამფერი,
გზას ხსნის და კეტავს, ხოლო შენს გზას რომ ასაზრდოებს
ეს ნიავია, _ მდინარიდან წამონაბერი.

_ ჩადიხარ? _ ჩავალ, შუა ხიდზე თუ გამიჩერებ,
მიდი, ერთხელაც დაარღვიე, ნუ გეშინია
ამ პატრულების!
მთვრალია, ალბათ, ფიქრობს მძღოლი, შემოგყურებენ
სხვებიც, შემცბარნი და უაზროდ გაბადრულები.

ხარ უძილარი და საკუთარ დარდში ჩამძვრალი,
გაფუჭებულა შუქნიშანი და მხოლოდ სისხლი
ჟონავს წითლიდან,
ხომ გახსოვს დედა, ძველ ჩანთაში ჩაგილაგებდა
წიგნებს, რვეულებს, ფერად ფანქრებს როცა გითლიდა?!

ვინ გიზის გულში, ვინ ღიღინებს თავდავიწყებით
და არსაიდან არსაითკენ როგორ მიჰყვება
მოტივს ნაღვლიანს,
გადავიწყება, გახსენება და სიზმარ-ცხადი
ძველი ფანჯრებით რომ გიყურებს, შენი სახლია.

ის უმწეოა, ამიტომაც უსაყვარლესი
და გამჭვირვალე წარსულიდან ამოღწეული
ხმა სიმარტივის
ისევ ჭყლოპინებს და მოითხოვს ჩვენს ყურადღებას
დროის ბუდიდან ჩამოვარდნილ ჩიტის ბარტყივით.

აქაა ბოლო გაჩერება _ ელბაქიძეზე
და ზემელისკენ მიზოზინებ, ხარ ბედნიერი
უფლის შეწევნით,
და სინანულის გარინდება შეგაგრძნობინებს,
იმ დროს, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაეწევი.

* * *

ახლა რა აზრი აქვს იმ დღის მონატრებას,
ვიდრე გავიდოდა, მიმაჩნდა არაფრად,
მეგონა შემთხვევით ჩემთან მონათრევი
და ჩვენ ერთმანეთში ვქრებოდით თანაბრად.

მაგრამ ეს სიტყვები, იმ დროის თარგივით,
რაღაცას ინახავს გარკვეულ ვადამდი
და მეხსიერება _ მოძრავი არქივი
ფურცლიდან ფურცელზე ჩურჩულით გადადის.

ეს საფეხურები ნაბიჯებს გაცვეთენ,
კალამი ამოდის ხსოვნათა ქაცვიდან,
ფანჯრის ჭუჭრუტანა თვალებში მაწვეთებს
იმ სხივებს, რომლებმაც თვალებიც გაცვითა.

ქრება ყველაფერი, ნაჩუქარ დღე-ღამეს
გაუდის ყავლი და თან გეძვირფასება
ის ფერფლი, რომელსაც ისე შეეხამე,
რომ გასაოცარი შეგზარავს მსგავსება.

ფოტოგრაფის სიკვდილი

თამაზ გეგერაშვილის ხსოვნას

რადგან აღარავის არ უცდის ეს სახლი,
ან როდის უცდიდა, გაღებულ ფანჯრიდან
შუქი იღვრებოდა ოდინდელ ფესახის,
იგი კი არ ჩანდა, ვინც ეს დღე განჭვრიტა.

სიმონ, ვინც ეს წუთი გაძლია ბეს სახით,
რა იცი, დანარჩენს იგი თუ მოგიტანს,
სჭვრეტ ფოტოაპარატს, წინაპარს შესძახი:
_ ყულფიც ინასკვება სარეცხის თოკიდან.

შვილიშვილს გახედავ ბღარტივით ერცახეს:
_ ვაი, დავენაცვლე, ნაღდად ესტერია.
ხმამაღლა არ ამბობ, გულისხმობ ერთ სახელს,
წმენდ მტვრიან მაგიდას: ცხოვრება ეს მტვერია.

კედლებზე უცვლელი ფოტოგამოფენა
და მერე წუთების შემნახველ სახეების
დროის წყვდიადიდან უხმო ამოფრენა _
ღია ჭრილობები _ გადასახვევები.

ქარი დასავლეთის ისევ ქრის ტიალი,
გულში კი შაბათის მზემ დაისადგურა,
ალბათ, შემოივლის ვინმე ქრისტიანი
და, როგორც ყოველთვის, აგინთებს ნავთქურას.

თვლემ, წარმოსახვაში იღვიძებს ეს სახლი,
რომელიც აჰყურებს ალვის წვერს აშვერილს,
თვალში კი _ სინათლე მომავალ ფესახის
და ბებერ ძარღვებში ღიღინი ქაშერის.

სურათის აღბეჭდვა თვალსაც შეძლებია,
ხსოვნაში ჩახვეული მჟღავნდება ნეგატივი,
ხელები გიხმება, ხელები _ ეს ძვლებია,
ძლივს რომ გიფართხალებს დაჭრილ ფრეგატივით.

ბევრმა იგლახავა და კიდეც იჩარჩა,
წიგნის კითხვაშიაც მოკვდა ზოგიერთი,
მითხარით, ყოფაში მუდმივად ვინ ჩარჩა,
ვინ ასცდა სიკვდილის ფოტოობიექტივს?!

* * *

ამ ოთახს უყვარდა ქაოსის სიმწყობრე,
გაშლილი წიგნები და ხელნაწერები
ზოგჯერ გპასუხობენ, რისთვისაც იცხოვრე
და ასონიშნები მწერები, მწერები

შეგაცოცდებიან თითქოსდა მითვლემილს,
რათა კვლავ იპოვონ სიტყვათა ყალიბი,
ფიქრში ხარ წასული, თანაც აქ ითვლები,
ოთახში, და არ გაქვს აქ ყოფნის ალიბი.

ვარდია ლარნაკში _ იმ დროსთან კავშირი,
რომელიც წარსულის აწმყოდან მოვიდა
და სიტყვებს ეძებენ ბგერები დაშლილი,
რომ ამოიყვანონ ხმა სიმარტოვიდან.

ვერ ჰპოვებ წასასვლელს, ვერ წახვალ ველარსად,
თუ წახვალ, ისედაც ამ ბგერებს წაყვები,
რომელთაც სივრცეში გაღწევა ეღირსათ
და თრთოლვა სიმებად გაბმული ძარღვების.

შენ აღარ არსებობ და ახლა სადაც ხარ,
ვერავინ გიპოვის უხილავ აკრობატს,

ამ ლექსით დატოვებ რეალურ განაცხადს,
თუ როგორ ეცადე სიტყვებში გაქრობას.

ოთახი, ფანჯრები და ძველი მაგიდა,
ჭრიჭინებს კალამი _ ბებერი კალია,
ხავსივით იზრდება ღიმილი ბაგეთა
და იგი გამქრალი სიტყვების კვალია.

გამვლელი

იზრდება სიძველე, სუნთქვამ პალატების
და გრილმა დუმილმა ხავსივით გაზარდა
ის ხსოვნა, აქვე რომ ყვავის შეუმჩნევლად
და გაოცებული აჰყურებს მანსარდას,

რომელიც ძველ კედლებს შარშან დააშენეს
და ცაცხვი დაბურულკენწეროიანი
ირწევა, როდესაც გაღებულ ფანჯრიდან
დილის აკორდებით გამოდის როიალი.

ივსება ჰაერი, ბგერათა რხევები
მაყოვნებს და სხვაგან არ მიშვებს,
დღე დღეზე აწებეს, თუმცა გასულ დღეებს
უჩანთ წარწერები, როგორც ძველ აფიშებს.

ისინი აღწევენ დროში ახლანდელში
არასრულ ცნობებით, გაწყვეტილ ფრაზებით,
ჩამქრალი თვალების ხელახლა გაკრთობით,
ხელის მოძრაობით უცნობი არსების.

თვლემენ ნაბიჯები მრავალჯერ ჩავლილი _
მათი, ვინც ოდესღაც გვერდით ჩამიარა,
ისინი აწმყოში ჩუმად შემოდიან
და აკვირდებიან პირმოკრულ ჩემ იარას.

აწმყო უწყვეტელი, ჩემით რომ გრძელდება,
უჩინარია და მახსენებს ამაყ დობილს,
იგი კი დადის და ცვლის ყოველდღიურად
სახეებს, იდაყვებს ფანჯრებთან ჩამოყრდნობილს.

ქათქათა ღრუბელთა ზოზინა ქარავანი,
ნიავის თამაში ჩრდილების ჰამაკთან,
მგონი, აღარც მახსოვს თავი საკუთარი _
ჩემივე ხელში რომ მრავალჯერ ჩამაკვდა.

ვცხოვრობ სუროსავით, წლები ხომ სუროა,
ბზარი დაუმალავს ასწლოვან კედლების,
ბზარში კი ექოა, ზოგჯერ რომ იღვიძებს
და თვლები ბრუნავენ ჩაქროლილ ეტლების.

«გამვლელო, შეჩერდი!» _ ჩამესმის შენი ხმა,
ვჩერდები, სინანული არ ქრება, არც ღვივის
და ჩემი სიცოცხლის ნაყოფს გასაოცარს
მოვწყვეტ სასაფლაოს უტკბილეს მარწყვივით.

* * *

თავის ჟამს ელის ყოველივე, ვიდრე ამოვა,
რაც უნაპირო დრომ ჩათესა აღმოცენდება
ჩემში ოდესმე
და ყველა ხილვა სიტყვას ეძებს სამალავივით,
იქ რომ ჩასახლდეს და დროდადრო ხმა შემომესმეს.

შენი ღიღინი, უხსოვარ დროს რომ გავიგონე,
ახლა ამოდის, ამოიყვანს სხვა დღის სიახლეს,
ანდა იმავეს,
რაც მიმავიწყდა შეხსენება გაიმეორებს,
ვიდრე დღეები ამ ხსოვნასაც გადათიბავენ.

მე აღსავსე ვარ მოხასხასე მინდვრის სიზმრებით
და მეჩვენება, რომ მიწაშიც სიტყვებს თესავენ,
რათა თავიდან
ამოიზარდონ, შეაღწიონ მდუმარ მარცვლებში
და მოაბრუნონ დრო, რომელიც თითქოს გავიდა.

გადაუქროლებს უმშვიდეს დღეს ქარი მთესველი,
უთვალავ პეშვით აბნევს მარცვალს გაშლილ მინდვრებზე
გარეუბნების.
შენ კი დამუნჯდი, უცაბედად თხრობა შეწყვიტე,
რომლის დასასრულს აღარავის არ ეუბნები.

* * *

.... და პენსიაზე ბევრად მეტი აქვთ
მოგონებები და დარდები ჩემზე ხნიერებს.
მე კი ცარიელ ფურცლის ბაღში კალმით შევდივარ,
ვწერ, ანუ ვხატავ, ყვავილებს და ფესვს ვუფხვიერებ.

ისევ ბაზარი აწესრიგებს ფასებს საცალოს,
საბითუმოსაც,
და პენსიამდე რაღა დამრჩა _ სამიოდ წელი.
ვაგროვებ სიტყვებს _ თივას, დროის სუნს რომ ინახავს,
ჯერ კიდევ ცოცხალს, ბევრჯერ მოცელილს.

მადლობა, დღეო, თვალებში რომ ნათელს მაწვეთებ
და სინანულო, უნებლიეთ რომ აღმოცენდი,
მე კი მეგონა, სამუდამოდ გადამივიწყე
და მადლს ოდინდელს აღარასდროს აღარ მომცემდი.

მახსოვს კრამიტზე გაკროლილი კაკლის კაკუნი
და ხელისგულში მივიწყებულ თავის ჩაღვენთა
არის მზის ჩასვლა თვალის სიღრმეში,
მარტო დარჩენა ანარეკლთა მბრწყინავ ჭაღებთან.

ნესტიან მიწის ამოხედვა ხმელ ფოთლებიდან
და თითებს შორის ჟონვა ყველა დროის სივრცეთა.
შენ ყველგან იყავ, შენ ყოველთვის იბადებოდი
და ეს სამყარო, უსასრულო გული გიცემდა.

დადის ქალაქი ქუჩა-ქუჩა. ნაფეხურები
მალე იშლება, ვიმახსოვრებ იეროგლიფებს,
მოძრავი ტექსტი უსასრულო ამბავს მომითხრობს
იმ ყვავილებზე, ფურცლიდან რომ ძლივს ამოვკრიფე.

მჩუქნი ამ წუთებს და ამ დღეებს მზით გადავსებულს,
ეს სიცოცხლეა _ ბოძებული ღვთისგან პენსია,
ვიღაც დამცინის და მეჩვენება,
რომ წყვილი გუბე ჩაფიქრებულ მიწის პენსნეა.

ვხევ, ვაქუცმაცებ ამ ფურცელსაც და ქარს გავატან.
მეჩხერ ხეების ხერხემლები, შავი მალები
გრავიურაა და მე, ზამთრის ცივ მოლოდინში,
გარდამავალი დროის ბზარში ჩავიმალები.

* * *

უჯრაში გოგონას სურათი.
დალალში დამალული მზის სუნი.
თვალები. შეკითხვა: სად არის?!
ღიმილი ამჟღავნებს მის სურვილს.

ხრიოკზე ხმელი ხის ხაზების ხასხასი _

ჩრდილების წერილი მზემ ისევ მომწერა,
დადიან სიტყვები, საგნებს დაეძებენ.
ძიების სიჩუმე მომწაროა.

ჟივჟივებს ბელურა _ ჩემი მეზობელი,
რაფას უკაკუნებს ნისკარტით
და მტვრიან სივრცეში სხივივით გაივლის
ათი წლის ბიჭუნას დისკანტი.

მტვრიან მაგიდაზე ხელის ანაბეჭდი.
გაზეთში განცხადება: „ევროს გავასესხებ!''
მევახშის სიტყვა ეძებს სარითმო წყვილს,
ასევე დაეძებს გავას ეს ხე.

ვკითხულობ ყველაფერს, რასაც ვხედავ,
ხსოვნაში ნეგატივი ამოცურდა,
მავანთა სახეები გადავიწყებული _
სადღაც წასულთა და არ მოსულთა.

ჩემში გასუსული დარბაზები
აწყობენ უცნაურ გამოფენას
იმ გაელვებული წუთების,
რომელთაც ამ დროში უნდათ ამოფრენა.

ალბომში გოგონას სურათი,
ალბომი უჯრაში ჩაკეტილი,
იმ დღეთა მბრწყინავი კრისტალი
შაქარყინულივით გაკვნეტილი.

ზაფხულის ღამის მუსიკა

ზაფხულის ღამის მუსიკა

თავისთვის მღერის ღამის ჭრიჭინა:
ჭრი, ჭრი, ჭრი,
თავი ჭრიჭინით გამოიჩინა,
ღამის სიჩუმეს ჭრის, ჭრის, ჭრის.

შემოფრენილა ოთახში მწერი,
თავზე დამბზუის მწერს,
მე კი დაღლილი უაზრო წერით
ფიქრის ფურცლებზე ვწერ, ვწერ, ვწერ.

შენ ხომ ღამიდან გაღწევა გინდა,
ჭრი, ჭრი, ჭრი,
დაეფინება მტვრიან მაგიდას
ხის ჩრდილი მსგავსი ჯვრის.

შემომზირალი ჩემი ფანჯრიდან
ხე, ხე, ხე,
ვიღაც კითხულობს: ნეტავ, რა გინდა?!
რასაც წერ, ხევ, ხევ, ხევ.

მე, ჭრიჭინას და, ალბათ, ამ მწერსაც
ერთი საქმე გვაქვს კვლავ,
ვჭრიჭინებთ, ვბზუით, ამის დამწერსაც
ბუნდოვან ფიქრში კლავ, კლავ, კლავ.

ეს შუაღამე ისეთივეა,
როგორიც როსმე, როს, როს, როს,
ბალახი ჰქვია, ისე თივაა,
სურნელში მალავს დროს, დროს, დროს.

მოლოდინის გათენება

ველარ გავარჩევ რაა ნამდვილი,
რაა სიზმარი და მოგონილი...
შენ წევხარ ხსოვნაამოქოლილი
და უეცარი ჩიტის ჟღურტული
სიჩუმის ხმაა; ღამის ურდული
უპირველესი ბგერით იღება,
გძულს საკალენდრო დათარიღება
და წელიწადის დროთა წერილი
გაუწყებს: არის გადაცელილი,
გადათიბული, გადანახული
ძნებად, ზვინებად დღენი ზაფხულის.

ეს თვეც გასულა, შენ კი გეგონა,
ვიდრე ამ დღეებს ჟამი შეკონავს,
მერე მოისვრის ერთ თაიგულად,
ისიც ჩამოვა, ვინც დაიგულა,
ვინც შეიგულა მოსვლის თარიღი...
ვუცდი და მოჩანს ჩრდილი მკვდარი ხის,
რომელიც ქარშიც კი არ ირხევა
და მეჩვენება, ის მკვდარი ხე ვარ,
ფესვებით ვდგავარ ხსოვნის მიწაში
და ამ შეგრძნებას ახლა ვინც წაშლის,

ეს შენ ხარ მხოლოდ, ეგ სამოსელიც
ჩვენი შეხვედრის საღამოს ელის.

გულივით მიცემს ყველა უჯრედი
და სიყვარული, ასე უშრეტი,
გაახელს თვალს და მეტყვის: გათენდა!
მე კარგად ვიცი ახლა რა მთენთავს,
ისევ დუეტი და უცილობლად
ორი ხმა: ნატვრა და უძილობა.

საღამოს პრელუდია

აფენს და აფენს კაკლის ხე ნეშოს,
შენ რას დააფენ, თავო, ხენეშო?!

ხალხს გაექცევი ავენებიანს,
ლანდს აფენ, ლანდი აგდევნებია.

არ ახსოვს წენგო კაკალს გაკროლილს,
აღარც ბაღს _ ქარის გადანაქროლი.

და სარკმელს, ბახის აკორდებიანს,
სხვებიც ბავშვურად აკვირდებიან.

გრამატიკული თამაში

ბა _ გაცვეთილი სიტყვის მარცვალი,
გე _ ელოდება ბა-ს რომ მიებას
და, სამწუხაროდ, გულს არ სცალია,
არ სურს წარმოთქმა და მოძიება.

გუ _ ჩვეულებრივ ბე-ს შეუწყვილდა
და თვალი გუბეს მიესადაგა,
სხვამ აღარავინ და შენ უწყოდი,
შენმა სიმუნჯემ რა იქადაგა.

სი _ მარტო დარჩა, გაქრა ყვარული
და ვერც მარტოვეს ვერ მიაწებე,
ანცობ შტერი და ჭკვამხიარული,
ასე ბავშვები თუ იანცებენ.

რა მჭირს, მე მგონი, უფალს ვბარდები
და გრამატიკულ თამაშ-თამაშით
ინგრევა სიტყვა და იბადება,
ვამსხვრევ დუმილის მყიფე თაბაშირს.

ჰა რალე-ს ეძებს, ჰარი _ ჰარალე-ს,
ფიქრის ობობას ძაფი გაუბამს,
სიმუნჯე ბნელი და ფარღალალა
ნაწყვეტ-ნაწყვეტად იწყებს საუბარს.

* * *

ხავსად ამოსვლია ქვას დუმილი,
გიშრით დახუნძლულა დაფნა,
ფესვებით ნაქსოვი შენი სასთუმალი
მახედებს სიღრმაში, დაბლა.

იქ იკვეთებიან ფიგურები,
სამფეხა სკამები, ტაბლა.
იქითკენ ნუღარ იყურები _
აკრძალულ დაბლაზე დაბლა.

ყურთან მოშრიალე ღობე ლელის,
იმედად ყოველთვის გყავს ის,
ვინც ქვას მიაფინა გობელენი
დუმილში ამოზრდილ ხავსის.

წარწერამ წაშლილ და წართმეულ ედემის
ხსოვნაში სიტყვები დაფლა,
იქითკენ ნუღარ იხედები, _
დამბლაა «W» დაბლა.

მინორი დუმილში ჩაკარგულ წიწკანის
და ფრთების გამკრთალი აფრა.
ფათალო. ფოთოლზე წითელი წინწკალი _
სთვლის მაუწყებელი აბრა.

ალიზის ლექსი

ალიზი. ალიზზე ალი ზის.
მკრთალი მზის სხივი თვლემს,
გაკრთება ქალის ალუზია,

იელვებს იელის სიყვითლე.

სიტყვების მარცვლებიც ალიზი არი,
ეცადე მოზილო ეს ლექსი ალიზის,
სადაც სიჩუმეა და არ იზიარებს
შენს ფიქრებს, გულში რომ ქალი ზის.

შუადღე. ჩურჩულიც არ ისმის,
დროდადრო იხსენებ ვინმეს სისინს,
სარკეში პროფილი ქარიზმის
და ავტოპორტრეტის მიმესისი.

გზა არპეჯიოსკენ

სი, დო, რე _
სიმდორე...

სოლ, დო, მი _
სოდომი...

თანდათან, თანდათან
მივაღწევთ იმ დონეს,
როდესაც ჭაობად
იქცევა სიმდორე.

მი, დო, რე,
მი, დო, რე _
მანდ არი
მინდორი,
ცელით მოიმდურე.

დო, მი, სოლ,
სოლ, მი, დო,
უფალი
სულ მინდობს.

როგორ არ მერჩიოს
ხმაურს არპეჯიო.

ეტიუდი №7

ველარ ვგრძნობ სურნელს შინ ვერც იის,
ვერც ვარდის. ხმა მესმის იმ მესი,
ძველი მოკარნახის, მეტრულ ინერციის
ყალიბში ვაგრძელებ მიმესისს.

აქაც იგივეა, ყველგან დაქტილია,
წამოღიღინება ასე უცაბედი,
მომლოდინე კარი კვლავ დაკეტილია,
ვცდილობ სხვაგან წასვლას, ვნახოთ, თუ წავედი.

ბავშვსაც სურნელება ათრობს იასამნის,
უცებ გაისუსა, უკვე აღარ ტირის,
შორი პეიზაჟი ღია სარკმლის
ლამაზ ჩარჩოშია ძველი ნახატივით.

მტვრიან მაგიდაზე გაქრა მინაწერი,
ისევ რაღაცას წერს ეს ამაოეთი,
ვზივარ ჩემს სიტყვაში პაწაწინა მწერი,
გაშლილ ხმოვნებიდან ველარ ამოვედი.

უცნაური ფიქრი და გასავათება,
განცდა უამური ამ გასავათების,
სინამდვილეში ხომ ძველი საათი ვარ,
ჩემში წიკწიკებენ მკვდარი საათები.

* * *

იქამდე გზა არის უმოკლესი,
ბნელ სადარბაზოსთან შიშით მოვარდები,
მასივი ნაცრისფერი და უეკლესიო,
დგანან კორპუსები _ ხომალდები.

მაგრამ სახლში შესულს ოთახი გეუცხოვა,
თვალები დახუჭე და გაქრები,
ნატრობდი, იმ სახლში ცოტა ხნით გეცხოვრა,
ბავშვმა რომ დახატა ფერადი ფანქრებით.

ის სახლი ზეცასთან კვამლით მიბმულია,
აივანს ამშვენებს რიკულები,
მოლი ფანჯრების წინ გადათიბულია
და იმ ფანჯრებიდან, სადაც იყურები,

მშობლების სახეები ამოიკვეთება,
თვალწინ გამჟღავნდება ხსოვნის ნეგატივი
და რაც გულში ფეთქავს, მგონი სიკეთეა,

თვალებს გადაუფრენს ჟამი ფრეგატივით.

გიყვარს ის ფურცელი, შენ გუშინ რაც ხატე _
ის ჩემი სახლია, იქაც შინ დამყვები,
თავი ხელისგულზე, ზღვარი სიზმარ-ცხადის
და ფანჯრის რაფაზე რწევა იდაყვების.

* * *

თვალს აარიდებ საწყალ მტრის თვალებს
და რასაც ეძებ თავდავიწყებით,
სინანულია, რომ გაკრისტალებს
და უფლის სუნთქვა, სადაც ირწევი.

ნევროზულ ტონებს ისევ მშვიდი ცვლის,
ივიწყებ ეჭვებს და გავეშებას,
როცა გამორბის გოგო შვიდი წლის
და შენს მკლავებში გადაეშვება.

შეიგრძნობ ბავშვის გულისცემითაც,
რომ ჭეშმარიტი რიტმი გაგიწყდა,
წამით გამოდის კულისებიდან
ის, ვინც დროებით გადაგავიწყდა.

* * *

გრძელდება ის ჟამი, სიტყვა რომ ინახავს,
ჩემთვისაც გრძელდება, უფალი დამაცლის.
ხმოვნების სარკმელში ჩამსხდარნო, ვინა ხართ,
დროს რომ იმეორებთ ჩუმად და დამარცვლით.

ის სუნთქავს, ის ფეთქავს და ვინც დაიბადა _
პირვანდელ სამშობლოს უმწეოდ მისტირის,
იგივე ბგერები ოთახში გაიფანტა
და დედის ღიმილი გაკრთა გვირისტივით.

შენ ვერ მოიხელთებ, სადაც იჭვრიტები,
გარბიან ჩრდილები მკათათვის ხვატიდან,
წუთებს გააღრმავებს ღუღუნი გვრიტების
და ის, ვინც ამ სოფლად პირველად ატირდა.

* * *

მზის სხივი, კვამლი დამწვარ ფოთლების,
ფოთლების... ფოთლების...
სხედან ჩრდილები ძველ აივანზე _
გადარჩენილი ეშაფოტლები.

გუბეები და ბრწყინვა სარკეთა,
სარკეთა... სარკეთა...
ფიქრის ჯურღმული ბინდის შემვსები,
სულ მარტო ყოფნა, ანუ განკვეთა.

და გუბეებში ჩიტები განბანილი,
ბრწყინვით განბანილი, ბრწყინვით განბანილი,
ჩამწკრივებულან ასონიშნებად
და მე ვკითხულობ ძველი ანბანივით.

უთვალავ მსხვერპლს და მილიონ ტირანს,
მილიონ ტირანს, მილიონ ტირანს
სძინავს მიწაში, იქ, სადაც ახლა
სძინავს პროფესორ გილიოტინას.

ჩინური მოტივი

თამაზ ჩხენკელს

კენჭს ვისვრი ტბაში და
თავს ვიქცევ ნასვამი,
ვერცხლისფერ რგოლებით
ვლივლივებ ტბასავით.

ნავს ცალი ნიჩაბი
საითკენ წაიყვანს?!
მეგზური ვარსკვლავი
და ჩემი ცა იყავ.

ფრინველი ღამისა
წყვდიადში სავსავებს,
ვღიღინებ, მოწყენას
ხმოვნებში ვაზავებ.

უჩუმრად წახვედი
და გული დამწყვიტე,
ჩვენს ბაღში ალუბლის
ჩრდილები დაწყვილდნენ.

ჩინური გრავიურა

მდინარის პირას ზის ბიჭი და ისველებს კანჭებს
და ისვრის კენჭებს, მდინარე კი ვერაფერს ამჩნევს.

ჩაუვლის ხიდებს, ახსომდება მხოლოდ ზედაპირს,
ღრუბლიდან სხივის გამოკრთომა გაუბედავი _

წყლის სილურჯეში ჩაშვებული ოქროს ანკესი,
დაბურულ ხედებს თავი მოსწონს ტალღის სარკეში.

მღერიან სადღაც, ნაცნობ მოტივს ფიქრებით ვერწყმი,
მგონი შენს ჩურჩულს იმეორებს შრიალი ლერწმის.

კვიპაროსის ცა

ეს ცა ყოველთვის კვიპაროსის საკუთრებაა
და, ბერიკაცო, რას დაეძებ, ბავშვის თვალებით
სად იყურები?!
თითქოს არიან, ვინც აქ იყვნენ და არც არიან,
აღარ მოჩანან თავის თავში გარიყულები.

საღამოსაკენ მიცურავ და ქუთუთოები
გადაკითხული ხსოვნის წიგნივით
დღეებს ფურცლავენ.
თანდათანობით შედიხარ დროში,
რომელსაც წყალი უთვალავჯერ გამოუცვალეს.

მოვა საღამო და თვალებზე ხელს აგაფარებს,
რომ ისევ დარჩე საკუთარი თავის იმედად,
შიშის ანაბრად,
რომ ყველა წუთი, სიტყვებში რომ გამოამწყვდიე,
ახალმა წუთმა გააარაფრა.

ეს ცა ჯერ კიდევ კვიპაროსის საკუთრებაა
და სხვა ხეები აჰყურებენ გარინდებულნი
ზემოთ კვიპაროსს.
შენ გეშინია იმ ვარსკვლავის, სისხლში რომ ჩნდება,
ღია თვალივით რომ გულში არ შემოიპაროს

და არ იხილოს, ხსოვნა როგორ იქცა ფრესკებად
და ძილ-ღვიძილის ზღვარზე არსებულ ხილვას ის სიტყვა
რომ მიუჩინა,
რასაც ვერავინ ვეღარ ამოთქვამს

და მხოლოდ გულში ცხოვრობს უჩინრად.

ეს ცა ჯერ კიდევ კვიპაროსის საკუთრებაა,
შენ აბრეშუმის ჭია ხარ და ღამეთა ფურცელს
აქცევ ძაფებად,
მღვრიეა წყალი ნაწვიმარი და ღამის გუბეს
თვალების გუბის ვარსკვლავები დაეწაფება.

ისიც მოვიდა, ვინც ოდესმე რომ მოვიდოდა,
არვინ ელოდა, თუმცა გულში დასაბამიდან
ყველამ უწყოდა,
თვალშეუდგამი სივრცეები გადამიშალა
და შიშნარევი სიახლოვე ვიგრძენ უცხოთა.

ძველი ფოტოსურათი

მახსენდება გოგონა _
გარდაცვლილი ჭლექით,
მისი ფოტოსურათი
სულში ჩანალექი.

რას გაუგებ საწუთროს
ხვეწნით, ენის ჩლექით,
ჩანს ჩარჩოდან თვალებში
მოგიზგიზე ჭლექი.

ათასცხრაასთვრამეტი,
ბებოს ნაამბობი...
დაჰფენია მაგიდას
შეღამების ობი.

საოჯახო ალბომში
ვერ შევძელი პოვნა,
ჩემთან ერთად გაქრება
შერჩენილი ხსოვნას.

* * *

მდინარე _ ბავშვობის სიმბოლო,
რომელსაც დღემდე ვერ დავშორდი,
ვიხსენებ ფრინველის სი-ბემოლს,
კვიპაროსს თვალებში აშოლტილს.

სიზმარში გამკრთალი დედ-მამა _

სიზმარი დღეს ცხადზე ცხადია,
სიზმარი არგუნა ბედმა მათ,
იქ მათი თვალები ხატია.

მერქანი კაკლის და კოპიტის,
ნუჟრებით თვალთვალი მერქანთა
და ჟამი, თითქოსდა ყოფითი,
უეცრად გულში რომ შექანდა.

ეს წმინდა გიორგის ზარია,
ეს კიდევ ჩქამია მდინარის,
წასულან, შინ აღარ არიან
და მაინც სუყველა შინ არი.

* * *

დასრულდა მიწის ამობელტვა,
წრუპავს შუაღვინოს, ისვენებს მბარავი,
ისმის ძლისპირული მგალობელთა _
ბგერები სამოთხეში შემპარავი.

აგრძელებს სივრცე ჩვეულ ლივლივს,
ეს შენი სულია, შენი სული,
ის წონასწორობას ეძებს შვეულივით,
გადაკრიალდება თვალი შენისლული.

საკუთარ ხელისგულში დაეძებ სამალავს
და ამ სამალავში ვერ გაილურსები,
უკვე მერამდენედ შეიგრძენ სამანად
და უსამანობად ხელი ნალურსმევი.

შორი ჰორიზონტის განგმირულ ფერდიდან
გადმოჩქეფს მზის სისხლი,
გულს გილბობს დასალბობელს
და ბერიკაცი და საბრალო ბერდედა,
ვინ იცის, ამჟამად თვალებით რას ამბობენ.

პარკის ქსოვა

შთანთქეთ უთვალავი ფურცელი დღედაღამ,
წიგნების ჭიებო, მიაგნეთ ჭიაფერს, _
სულს რომ გადაბუგავს, სხეულს კი დადაღავს
მბჟუტავი თვალები, ტკივილს რომ მიაფენს.

ოთახში ირწევა სიჩუმის ჩელტები,
ვშრიალებ, ვფუსფუსებ, ვერთობი არქივით,
რაც ვწერე, წრე არი, იმ წრეში ვჩერდები,
რათა მოვიქსოვო წყვდიადი პარკივით.

შთანთქეთ უთვალავი ფურცელი, ჭიებო,
ველარ გააცოცხლებს ყველას, მგონი, ხსოვნა,
ვინც კი აბრეშუმის ძაფივით მიება
დუმილს და სიკვდილის პარკი მოიქსოვა.

წავიდა, დაიმალა, ყველას გაერიდა,
სიტყვაში უჩინარი მავანი ზის
და მისი შრიალი ჩამოდის ჰაერიდან,
როგორც აბრეშუმი ამომავალი მზის.

ლოკოკინა

საჩუქრად _ ბაღი ნაწვიმარი,
ტოტებში ცა ჩამოკონკილა
და დროს შეუმჩნეველს იმეორებს
მესერზე მოზოზინე ლოკოკინა.

უცნობის თვალის გაელვება,
წამის გაელვება უეცარი,
მოგეჩვენება, რომ ნათელია,
ისე ნათელია, მრუმეც არი.

სადღაც წავიდოდი ლოკოკინასავით
ზოზინით, ზურგზე სახლიანად,
ჩემი ვერცხლისფერი ნაკვალევი
მზეზე იბრწყინებდა ნაღვლიანად.

* * *

აქ ორი სივრცეა და დროც ორი არი,
მიდამოს საღამო მოედო პკესავით,
შავ-თეთრი ღიმილი ძველი როიალის,
ხსოვნაში _ აკორდი პატრონზე მკვნესავი.

თელავის გახსენება

აღარ მინდოდა შეჩერება, მაგრამ ვჩერდები,
პატარა ქუჩას დაეფინა ღრუბლის ჩელტები.

სახლებს დაბზარულს და სიძველეს ქცეულს კრამიტად
ვათვალიერებ, აღერღილი ასი გრამითაც.

ძველი უბანი, გრილი სუნთქვა _ ფიქრის მგეზავი,
თვალს გადაკრული მოგონება ღვინის პკესავით.

ცალთვალა გუბე და გუბეში ისევ მზის სარკე,
ფანჯრებს თვალები გაქცევია ზარის ხმისაკენ.

ამ დროს კი ბავშვი შეშინებულ ქუჩას გადაჭრის,
ხელში შოთები, ბოსტნეული და სხვა ნავაჭრი.

მინდა აქ ყოფნა და ცოტა ხნით აქვე დარჩენა,
რა უნებლიეთ ეპარება პირჯვარს მარჯვენა.

* * *

სიჩუმის სიღრმეს ვერ ჩაწვდება ჩემი გარინდვა
და ამიტომაც ამ სტრიქონის არ ღირს გარანდვა.

მე ბედნიერი წუხანდელი ღამის ქალით ვარ
და მოვახერხე გაელვებულ წუთის გარითმვა.

არარსებული კარი ხშირად რად არ იღება
და ვინ შემოდის იმ კარიდან, მან ხომ არ იცის?!
ასე გულდასმით რად ვაგრძელებ დათარიღებას
სიტყვის გუბეში და თვალებში ჩამომხტარი ცის.

არ მიმატოვებს ძველი შიში და მეც ბუნება
დამიმორჩილებს, მასხვაფერებს მშვიდი ამინდი,
გასაგებია ჩემი ფიქრი და შეცბუნება,
დროს რომ მივყვები, მაგრამ იგი არსად არ მიდის.

* * *

ვინ ათვინიერებს მარტის თვეს _
ცვალებად ამინდებს, ამ დღეებს არტისტებს?!
ახლა მეც ვთამაშობ, არავინ არ მისტვენს.

სიტყვიდან მიყურებს გულისებრი სარკე,
ჩავხედავ, ვღონდები, გავყვები კალმის წვერს,
ტაშით მაცილებენ კულისებისაკენ.

ეს მზე და ღრუბელი ამ განცდის ფარდი და
დარ-ავდრის დარია მარად ცვალებადი,
ვიღაც იბადება დაშვებულ ფარდიდან _
პაუზა, დროებით გარდაცვალებამდი.

* * *

მიყურებ, როგორც მომავალ მიწას
და წარსულისას ისწორებ მანდილს,
გაურბის შენი თვალების ფიწალს
დაცხავებული სხეულის ლანდი.

შენც ხომ მიწა ხარ და მიწა მიწას
ესაუბრება ხრიოკს და ქვიანს,
მოძებნა ისევ ხსოვნაში მიწევს
სახელის, შენ რომ ნამდვილად გქვია.

ქოთნის ყვავილის ფესვები ქოთანს
ტოვებს და ყლორტი იკეთებს კოკორს,
შენი ღიმილი გაამხელს შფოთვას
მოუხელთებელს, არ ვიცი როგორს.

და ეგ ღიმილი ნაყოფი არის
ათასწლეულში ჩამალულ ნაღვლის,
წიგნია ისიც და წიგნის არეს
მიაწერ სიტყვას შენსავით დაღლილს.

ეპიტაფია

ვიდრე ელოდი შენს დროს, იგი გავიდა კიდეც,
სხვაგვარად გიმზერს ჰორიზონტი _ სამყაროს კიდე,
რაც იყო, არის, შენში ისევ ცოცხლობს და ბჟუტავს,
იხსენებ, თითქოს მომკილ დღეებს ხელახლა მკიდე.

დაჰყურებ ამ სტროფს, მარცვალ-მარცვალ შევსებულ მტევანს,
მეც მისი ახლო ნათესავი და ძუძუმტე ვარ,
საითაც წახველ, იქ მოგყვება უცნობის სუნთქვა,
ვერ დაემალე, გამუდმებით გაურბი მდევარს.

გადაიღალე, შეისვენე, ალბათ სჯობს დაცდა,
ის, რაც წავიდა, თავის ფეხით ბრუნდება კაცთან,
მალე ბალახი გადაივლის სხეულის ბორცვზე
და ყოველგვარი დაგტოვებს განცდა.

იყავ არარა და არარამ გითხრა ალალად,
რომ ამ წუთივით უძირო ხარ და ფარღალალა.

* * *

გაწვიმდა, როგორაც გაწვიმდა,
ცა არ ჩამოიქცა, ახლაც გულდასმით ცრის...
ფერდობი თავს იწონებს ანწლითაც,
იქ ვიღაც განისვენებს, ათას ხუთასი წლის.

მავანი იხედება უთბილეს ნაცრიდან,
სახე ულაგდება ნახშირის ნაკვთებად,
ვინც ათასწლეულთა დუმილი დაწრიტა,
ის აქვე არის და დროდადრო გაკრთება.

და შენც ამ ფურცლებში მოგიწევს ჩარჩენა,
შეგაკრთობს საუკუნის ყეფა ფარჩაკული,
ინატრებ, ოდესმე მავანი გაჩვენა
უცნობი ლექსების წიგნში თავჩარგული.

ფერადები

გოგი წერეთელს

გადაიარა აგვისტომ და კრთის სექტემბერი,
ჩვენ შემოდგომის ფერადებში ერთად გავებით...
დღეს აკვარელი, ხვალ გუაში და ზეგ ტემპერა,
ან ყველა ერთად, ვინ გაიგოს ფერთა გამების?!

როგორც შეერწყმის უნებლიე ოსანას ბერი,
შენც ამ სასწაულს უერთდები, სადაც ჩერდები,
იქ რაღაც ღვივის მოხასხასე სოსანისფერი
და ირწევიან ქარვით სავსე ღრუბლის ჩელტები.

ბროწეულებმა სახეები ჩამოიკაწრეს
და ბაღებს ზამთრის სიახლოვე სულ არ აშინებს,
მაგრამ ის მოვა, მოიყოლებს სუსხის სიმკაცრეს
და ყოველივეს გახვევს ნისლის სუდარაშივე.

ის დღეც დადგება, რომ შემრჩება სიტყვა ფიტივით,
ხსოვნაში მზერას ჩავიბრუნებ, ვეძებ არჩევანს,
ნიშნად იმისა, რომ გარდასულს კი არ მივტირი,
წითელ ფოთოლზე მზის შხეფივით ვნატრობ დარჩენას.

* * *

რაც მომავალში უნდა დავკარგო,
წარსულში ვეძებ ხელისცეცებით,
შე მატყუარა დროის ავ-კარგო,
ჩამოკაწრულო ხსოვნის ძეძვებით.

სისხლი მოწვეთავს, ამოუკაწრავს
ბრჭყალებს ეკლისას ჩემი სხეული _
ანუ ფურცელი, ამ უკაცრიელ
დროის წიგნიდან ამოხეული.

ფილაქნისაკენ ჩრდილით წავა ხე
და ვერ გაცდება, ალბათ, ამ ქუჩას,
თვალს დავხუჭავ და მაშინ ავახელ,
როცა ვერასდროს ვეღარ დავხუჭავ.

სუნთქვის სივრცე

დაო სიდონია

როგორ შეეპარა დაისი დუნიას,
მზის ჩასვლა _ ტკივილზე სული შენაბერი,
დაო სიდონია, დაო სიდონია,
ჩემს სარკმელს მოადგა საღამო _ შინაბერა.

რა უკურნებელი სიმდორეა _
წუთებს რომ ისრუტავს კვლავშობილს,
დაო სიდონია, დაო სიდონია,
გზა, მე რომ მივდივარ არის კლავიშები.

ბგერიდან ბგერამდე ქაოსი ტოლია
დაღუპვის. სიმწყობრეში სუნთქავს სასწაული,

დაო სიდონია, დაო სიდონია,
თვალწინ მიდი-მოდის ყველა ასწლეული.

ბგერები, ბგერები სიტყვებად შეკრებილი,
სიტყვის ნათებაში ჩამავალ მზის დონეა,
ისევ იკაწრება წარსული ეკლებივით,
დაო სიდონია, დაო სიდონია.

შენი გახსენება, ასეთი მარტივი,
ის დროა, რომელიც დღეს აკმევს,
ბაღის სიგრილეში ჩაივლი ლანდივით,
თვალებით მოძებნი ჩემ სარკმელს.

ტერეზა კალკუტელს

„ბაგეები გულის სისავსით ლაპარაკობენ.“
დედა ტერეზა

გულის სისავსით მეტყველებენ ეგ ბაგეები,
ის არ იცვლება, ვინც იპოვა მარად ცვალებად
დროში საყრდენი
და შეიხიზნა შვილებივით ღამის შუქები,
ზეცის ტაძრები, მლოცველები და მოსაყდრენი.

მაინც მოხდება, რაც ქვიშაზე ერთხელ ეწერა,
მერე წაშალა, ხსოვნაში კი დარჩა ყოველი
და მოსახდენი
დაელოდება საიდუმლოს, ანუ თავის ჟამს,
როცა გულიდან გულის სიტყვით ამოსახლდები.

შესაბრალია, ვინც ამაო ლოდინს შეაცვდა
ხორცით და ძვლებით და უკეთეს ყოფის სურვილმა
ასე დაშრიტა,
ელამუნება ათასწლოვან ნაბზარ სახეებს
მხურვალე სუნთქვა, მოღწეული აფრის გაშლიდან.

ჩვენც ნამცეც-ნამცეც და წვეთ-წვეთად შევიკრიბენით,
რათა სიტყვათა ხმოვნებიდან ამოვიხედოთ,
ხსოვნის მარცვლებად,
რომელთაც შეძლეს საკუთარი კალოს გალეწვა
და დღიდან დღეში სინანულით გადანაცვლება.

გამჭვირვალეა გული, ისე გამჭვირვალეა,
რომ სასუფეველს აღმოაჩენ _ გულის სისავსით
ამეტყველდები,
მიეფერება გაზაფხული მფშვინავ ნახნავებს
და სიმწვანისკენ ფეხაკრეფით წავლენ ბელტები.

ეს დინებაა უნებლიე წუთს რომ აღრმავებს
და ოდნავ ღია სარკმელიდან ყრმა იხედება,
გულის ძაფებით
ჩვენ მიბმულნი ვართ დასაბამის უსასრულობას
და მწყურვალენი დაუშრეტელ დღეს ვეწაფებით.

საღამოს ლოცვა

ქრება ბოლო სიტყვა გულში თქმული ლოცვის _
ყვავილთან ფარფატი პეპლის
ფრთებია დუმილის, ხილული წამია
ჩემში ჩაბნეული ფერფლის.

უცხო სახეები, მზერა უთვალავი,
მშვიდი, მგლოვიარე, მკაცრი,
გულში შეღწეული თრთოლვა გადამდები
უცნობ წინაპართა ნაცრის.

ფერფლის გამოხედვა და ფერფლის თითებით
დავწვდები ჭიქას და დავცლი:
ასე იძახოდა ოდესღაც მესკია,
ასე იზრდებოდა გორაკზე ანწლი.

ფერფლით და ნამწვავით სავსეა საფერფლე,
ჭერზე რომ დაცურავს ჩრდილების ფარფლია,
ჩემი იდაყვები, შენი მოძრაობა,
მისი გაღიმება ფერფლია, ფერფლია.

ამაოდ დავშვრები სიტყვათა მძებნელი,
ბგერებს ვაკოწიწებ, იმ ენას ვერ ვფლობ,
რაც შენ მაგრძნობინე, სახელი ვერ დავარქვი
შენს ჩურჩულს ბაგეთა ფერფლო.

მე დუმილს ვაგრძელებ, დუმილში ვინახავ
მრავალთა დათმენილ კვნესას
და უთქმელ სიტყვაზე აცმული მზის ძაფით
დაკონკილ სამოსელს ვკემსავ.

* * *

ჭეშმარიტება არ დაცდება ცბიერ ბაგეებს
და შენი ხორხი არის მუდამ ღია საფლავი,
ხელოვნურია ეგ სიმღერა, რომ შემაგებე,
როგორც დისკანტი _ საჭურისის ხმა დამზაფრავი.

და ცოდვა-მადლი, არა მხოლოდ ყურის მემბრანებს,
პოულობს გულსაც, სიტყვებია გზის გამკაფავი,
ბუნებრივია, უნებლიეთ რომ შემებრალე,
თუმც ხორხი შენი მაინც არის ღია საფლავი.

ჩიტი არა ხარ, რომ გაფრინდე; შინისაკენ კი
მიხვალ მშიერი, შენი ლანდი სად დაეცემა?!
ჰა, შენი საზრდო, სიტყვებია შენი საკენკი,
კალმის ნისკარტით გააგრძელე დანამცეცება.

ხმამ ხმას რა ჰკითხა?!

დღემ დღეს რა უთხრა, ღამემ ღამეს რა უკარნახა?!
სურდა გაეგო წასაყვანად ვინ შეიგულეს,
გასწია ფარდა და ბაღებში მან ქარი ნახა,
ტოტებით როგორ ხატავდა და შლიდა ფიგურებს,

რომლებიც სიტყვებს დაეძებდნენ და შესაბამის
ტექსტს უმარტივესს, მომავალში რომ ვერ წაშლიან,
რომ ყოველ ფერში და ბგერაში არის საბაბი,
არის მიზეზი, რომ აგროვებს ახლა ამ შრიალს.

დღემ დღეს რა უთხრა, ღამემ ღამეს თავის მწუხრითა,
ხმამ ხმას რა ჰკითხა, ტკივილი რომ არ დაგიამდა,
ამომავალმა თვალებიდან, ყელის ბუხრიდან,
ბგერამ, რომელსაც სიტყვად ქცევა დააგვიანდა.

* * *

როცა ავხედე ზეცას _ შენი ფიქრით განვრცობილს,
ვთქვი: ვარსკვლავები არის შენი მზერის მისხლები,
ეგ ჟრუანტელი, ვენახებო, არის ნაცნობი,
მოდგება ჟამი და თქვენსავით ჩვენც გავისხლებით.

ბევრჯერ ავცოცდი ლეღვის ხეზე მე ზაქესავით,
მოახლოვების მეშინოდა და ხელის ხლების,
შენ ხარ ნათელი, სიბნელეში გზის დამგეზავი
და, ამავე დროს, უკეთურთა ხარ შემრისხველი.

არ დაიღალა შენკენ ცქერით ჩემი სარკმელი,
შენ კი ყველგან ხარ, არსად ხარ და გულში ბინადრობ,
მიმოდის დრო და თამაშობენ დროთა სარკენი
და მეშინია, უფრო ძლიერ რომ მოგინატრო.

სუნთქვის სივრცე

გაფრინდი, სულო, შეიმალე ტყეში ჩიტივით,
იქ დუმილს უყვარს უგრილესი სუნთქვის განფენა,
შენ ამ სხეულის გალიაში ვერ ჩაეტევი
და მუდამ მზად ხარ სხვა სივრცეში გადასაფრენად.

უცხოა ყველა, რიოშია ბრწყინვა დიდების,
მძინარე ჩვილის გაღიმებას ვერ შეედრება,
როდესაც ბავშვის სუნთქვის სივრცეს გრძნობენ თითები
და სიყვარულის შორიახლოს შიშიც ეთრევა.

ჯერ სიტყვებში ხარ. ამღვრეული განცდა რომ წდება,
შენ ვერ მიხვდები, გაოცებამ რა ხმოვანი შვა,
რადგან ავტორმაც კი არ იცის რა წამოცდება
და თუ მოასწრებს უცაბედი ხილვის ჩანიშვნას.

ვინც ჩვენთვის ლოცულობს

აღარ ავყვები. ფიქრმა ფიქრი გამიასკეცა,
გამოვიარე არაერთი ათასწლეული,
შევერთვი დუმილს, უსიტყვობას, ანუ ასკეზას,
ზედაპირული ხმაურისგან თავდაღწეული.

სადღაც ღრეობენ ბედნიერნი უხვი მოსავლით,
შენ, განდგომილო, სადარდელით გარემოცულო,
იკითხავ შენთვის: _ მართლა არის ის ღვთისმოსავი,
ბერი სენაკში, ვინც ცოდვილთა ბედზე ლოცულობს?!

გადის ცხოვრება, ყველა იმკის თავის მოსავალს,
გადახვეწილი შინ ბრუნდება _ შვილი უძღები,
მოვა საღამო განძარცულთა შესამოსავად,
თქვენ კი, ზარებო, სინანულსაც შინ მიუძღვებით.

სად წახვედი, ნეტავ, საპყარო?!

კულუარებში მოსისინე გახსოვს იქედნე,
თავის მსხვერპლისკენ გესლიან თვალს რომ გააპარებს?!
უბედურები თავის ქონში გამოიკეტნენ,
მე კი, უფალო, შენი ფრთების ჩრდილით დამფარე.

ამღვრევს საღამოს ზეცას ყვავის ფრთების სავსავი,
მიახლოვდება გადაბმული ღამის თევანი,
მე შენს წინაშე სიხარულის მათბობს სისავსე
და მოწყვეტის წინ ვირინდები, როგორც მტევანი.

აქ ვიღაც იჯდა, ყვითელ ჯაგის თუ დაბალი ხის
მსგავსი სულდგმული. სად წახვედი, ნეტავ, საპყარო?!
შენს ნაკვალევზე თეთრი კვიცი რომ დაბალახობს –
მის გასახდენად ემზადება მთელი სამყარო.

* * *

ოთარ ჩხეიძეს

აქ პური სუნთქავს, ამ ეტერში, და მზე ამწიფებს
უთვალავ მარცვალს, სიტყვებივით რომ ჩამალულა,
მოდი, უფალო, თავთავები ჩამოამძიმე,
გლეხს მოუვლინე ანგელოზი, თვალს რომ ჩალულავს.

სველია დოქი, მიხატვია ჟამი ნაკვთებად,
გადის სამხარი, მზეს თანდათან ძალა ელევა.
აქ ღმერთი სუფევს, ის დროდადრო გულში გაკრთება,
გასუსულ ყანას ნიავი რომ გადაევლება.

* * *

რატომ დამშორდი, შეჭირვებულს თვალს რად მარიდებ,
ამ ქვეყანაში მე უშენოდ ვინ დამაფუძნოს?!
ისე ვარ, თითქოს საკუთარ თავს ვასამარებდე,
ჩემი დღეები ნაჩქარევად რომ გადავფურცლო.

მაგრამ მაფიქრებს შენი რიდი და რაც მაფიქრებს,
ბადებს სინანულს, თანდათან რომ დამეუფლება,
მივაყურადებ, უნუგეშოდ ხელს არ დავიკრეფ,
იქნებ გავიგო, სინანული რას მეუბნება.

საღამოს ჩაი

მოდის დაისი და სიბნელემ დაისადგურა,
და ჩამავალი მზეებივით დგანან იფნები,
ძველი ოთახი, ძველებურად ხრჩოლავს ნავთქურა,
მურავს ჩაიდანს. სადაცაა მე გავიბნევი,

გავიფანტები. ჩემი სუნთქვით მინებს შეორთქლილს
არ მივახატავ გაფიქრების უცნობ ფიგურებს,
რადგან იგივე მინდა გითხრა, შარშან შენ რომ თქვი,
ერთი წელია ვგრძნობ, შორიდან როგორ მიყურებ.

ერთი წელია გემალები, ვერ დაგემალე,
როგორ დაგმალავს კვამლი ფიქრის და სიგარეტის.
გთხოვ, აბრეშუმი იგივე მზის დააგე მალე
და გამიბრწყინე იმავ სხივთა ასი კარატი.

პირველი ყლუპი. ცხელი ჩაი რა საამოა,
ჩაისთან ერთად ვწრუპავ იმ დროს, მე რომ ვეკუთვნი.
ჩამოღამდება, მზე ხვალისთვის ისევ ამოვა,
თუ არ ამოვა, ამ სიტყვებში მნახავ შეფუთვნილს.

საღამოს ყვავილი

ისევ სურვილებს ავყევი და ნაღველს ვიმრავლებ
და ვგრძნობ, თანდათან როგორ ვკვდები, როგორ ვმიწდები,
მიკვირს, რომ ვცოცხლობ, უსწრაფესად არ ჩავინავლე,
თვალით რად ვეძებ, რასაც მხოლოდ გულით მივწვდები?!

შენელებული მზერით ცისკენ კვამლს რომ წავყვები,
შიში ამოჰყავს უცნობ სიტყვის ბგერებს უნებურს,
რომ გაიელვებს, დაკლაკნილი ელვის ძარღვები
ცის წერილივით თვალით მიმაქვს შინ მიბრუნებულს.

ვჯდები სარკმელთან, თვალს ვაყოლებ ღრუბლის ამალას,
ახლა სარკმელი ცით აღსავსე არის ნიჟარა
და დღემ ჩავლილმა, რაც აგროვა და გადამალა,
იმ ყვავილშია, მზის ჩასვლამდე რომ გაიშალა.

ორი დრო

გაქრა სიზმარი. ვარ რატომღაც გულდაწყვეტილი,
ვცადე და სიზმრის გაგრძელება ვერ მოვახერხე,
კედლიდან ჩრდილი გაიპარა ყურდაცქვეტილი
და გაედევნა სხივებივით აშლილ საღერღელს.

ამ ორ დროს შორის, ორთქლივით რომ რაღაც გაკრთება,
განქარვებული, უმჩატესი ხილვის კვალია,
ის ეძებს სიტყვას, ეხატება სახეს ნაკვთებად
და კალმის წვერზე ამოხტება, როგორც კალია.

გადღაბნილ ლაქას, თვალის ფსკერზე ფერებს რომ იცვლის
და პროსოდიას სადაც მისდევ, გულით იქით ხარ,
ეიმედება, რომ ოდესმე ვინმე მოიცლის
და საუკუნის მერე მაინც გადაიკითხავს.

გუბე

«მოვიდა მიწა». ორი დღეა თოვლის წასვლიდან.
დამუნჯდი, სათქმელს აღარავის არ ეუბნები,
მოჩანს გუბეში მოლივლივე ზეცის ასლი და
გამდნარ თოვლიდან ამოსული გარეუბნები.

და გეჩვენება, წუთი-წუთში ისე გაქრები,
როგორც ღრუბლები, ჩრდილებად რომ გადაირბინეს.
ხატავს გაზაფხულს შვილიშვილი ფერად ფანქრებით,
ჯერ რომ შორსაა და ფურცელზე მაინც ბიბინებს.

ისვენებს ციგა და რაფაზე თვლემს ხელთათმანი,
წვეთების წკრიალს ძველებურად არ აყურადებ,
ვინ არის იგი, ვინც ყოველთვის გირჩევს დათმენას
და გაძლებინებს მოუღწეველ გაზაფხულამდე?!

ცა გუბეშია და ჩემსავით არის ცა ამ დროს
დარ-ავდრიანი _ მზიანი და თანაც საავდრო.

შინ დაბრუნება

გამქრალა ისიც. დრომ ნატვრაში გაირბინა და
ისიც წავიდა, რომ არასდროს აღარ მოშივდეს.
დარჩა ალბომში, დროებითი ხსოვნის ბინადარს

წლები გულგრილად მიმდინარე შლის ალბომშივე.

თუმც ხელნაწერი და ყვითელი ფურცლის ნახევი
და სიტყვის შიში, კურდღელივით რომ გაინაბა...
ამ სარკეებში ჩამქრალ ჭვრეტას რომ ინახავენ,
ჩემი თვალებით გამომზირალს ვამჩნევ წინაპარს.

და არა მხოლოდ გარეგნობით ჩვენ ვმთლიანდებით,
უშრეტელია წარმოსახვის უდაბურება
და ღამღამობით დაეძებენ მათი ლანდები
მემკვიდრის სიზმრებს და ცდილობენ შინ დაბრუნებას.

დილის პური

და ამ ბალახზე გაფანტულა დილის ცვარ-ნამად
მათი თვალები, მივდივარ და გზად მიმაცილებს.
ხანდახან უკან მობრუნება უყვართ წარმავალთ
და მყისიერად ამცირებენ დროს და მანძილებს.

დილის სუსხიან სილურჯიდან ამოჩრილები
არიან მსგავსნი ჩემი, შენი, ჩვენი, აქ რომ ვართ,
უკანასკნელი ფოთლები და მათი ჩრდილები
ხეებს რომ შერჩათ, დეკემბერი ვიდრე დაქროლავს.

რაღაც სათქმელი შეუნახავს მათ გამოხედვას,
მრავალი სიტყვა _ ერთ მზერაში გადადნობილი,
ნატრული სითბო ობლებისა და ქვრივ-ოხერთა
და უთქმელობა ძმაკაცისა ანდა დობილის.

გადააწყდები ყოველ წუთში მზერას გამჭოლავს,
რომ მიფანტვია მბრწყინავ ბალახს დილის ცვარ-ნამად,
რუხი კორპუსის ფანჯრებიდან ვიღაც გამჭორავს _
დილის პურისთვის, თუ უბრალოდ სადღაც წარმავალს.

* * *

გპოულობ ფერში. რომ გპოულობ, ის ფერი ქრება,
თანდათან ქრება, გაილევა ძაფის გორგალი,
რადგანაც სიტყვა მომიქსოვეს მზის ფეიქრებმა
და მოიხელთეს მაჯისცემის რიტმი მბორგავი.

იქ შენ მარტო ხარ. შენს სიმშვიდეს, ასე გადამდებს,
ვიღაც ხატავს და ამოიყვანს სახეს ტილოდან,
რომელსაც, თურმე, ისეთივე ფიქრი ადარდებს,

როგორც წინაპარს, ჩვენს გამო რომ უხმოდ ტიროდა.

ვწევარ გულაღმა, შენც ხელები დაგიკრეფია,
შეშინებული მომავალზე წავიმკითხავებ,
აი, რა დარჩა მდუმარეთა გაფიქრებიდან _
მხოლოდ დუმილი, რასაც ვეღარ წაიკითხავენ.

* * *

გიგლას

ხსოვნას არ უნდა, გაგაცალკეოს
ჰელეოდორეს, საფოს, ალკეოსს.

ვის უკვირს, შენც რომ იქეცი ჩონჩხად,
სიკვდილამდე რომ ნატრობდი ჩოჩხათს?!

ცოცხლობდი, თავი გაგქონდა თარგმნით,
ახლა კი, მგონი, არაფერს არ ქმნი.

ოქტომბრის ქარში ყველა ხე იფრენს,
ივიწყებს მიწა შენს სიხეიბრეს.

მილიარდები წვანან მარტონი,
ხარ იმ დუმილის თან

* * *

ამ სტრიქონებით რა წვალებით ვჩორკნე აკვანი,
კისერზე ყულფი _ შენი წასვლის თარიღი მება,
გამოგილოცე, ღმერთს მივანდე შენი გზა-კვალი,
ჩვენ შორის ახლაც ვიღაც დგას და არ იღიმება.

შევაბამ აკვანს ფერად-ფერად სიტყვის კაკილებს,
ეს სამყაროა ერთდროულად ჩვენ რომ გვეკუთვნის,
რომ გაიზრდები, წარმოდგენაც გამაკანკალებს,
გულჩათხრობილი წინაპრებს თუ წყევლას შეუთვლი.

არარსებობა, პირობითი დროა იქამდი
და ვიდრე დავალ, დავატარებ ძვლების იმ ყორეს,
წლებმა რომ ცვითა. შენ გულივით გადამიქანდი
და უცაბედად გახსნილ ბზარში გადამიყოლე.

ბგერათა სუნთქვა

არც უფიქრია, რომ გულიდან ამოეშანთა
ხსოვნა, რომელშიც ჩამალულა წუთი კეთილი,
იგი წკრიალებს, როგორც ბგერა ღამის ეჟვანთა,
დუმილის ბზარში უნებლიეთ ჩამოღვენთილი.

ყურს აღარ უგდებს, რას ბუტბუტებს ვინმე მროშავი,
თვალის სარკეში საღამოსფერ თმას რომ იშლიდა,
რადგან, უფალო, შენს ხელშია მისი დრო-ჟამი,
ვისი თვალებიც მწუხარებით ამოიშრიტა.

გახადე ძაძა, სიხარულით იგი შემოსე
და აუხილე ორთავ თვალი დარდით ნარღვევი,
იგი შეიგრძნობს მოულოდნელ სიტყვით შემომსვლელს
გულის სისავსით და სხივებად ქცეულ ძარღვებით.

შენ საით მიხვალ?!

ამ სიჩუმეში, მზის სუნთქვაში განაბვა მინდა,
ვგრძნობ, რაც მებოძა უფალზე მეტს ვინღა მომცემდა,
ყველა თაობა დაგეძებდა დასაბამიდან
და ჩაიკარგა შენში შენგან ვინც აღმოცენდა.

თვალი შეზრდილი შემოდგომის «ბაღის გობელენს»,
გაახუნებენ ეს დღეები მზერით ამ ფერებს,
ჯერ კიდევ ახალ ფერადებით შესამკობელებს,

სამყაროს სუნთქვა სუსხიანი ჩამოაბერებს.

შენ საით მიხვალ, რომ დაეძებ გზა-კვალს საუფლოს,
იქითკენ, სადაც გაეშურა, ვინც გზას ეძებდა
და მხოლოდ გულში გინდა ვინმეს გაესაუბრო,
ვინც უკანასკნელ წუთისაკენ ხელს აცეცებდა.

* * *

ვინც დაივიწყა გაახსენდა და შეეშინდა,
ჩაყლაპა ლუკმა, დადგა ჭიქა, ხელისცეცებით
გასწია ფარდა, მერე ზეცის გახსნილ პეშვიდან
გადმოღვრილ სხივში ათამაშდნენ მტვრის ნამცეცები.

აი, რა დარჩა ჩაფერფლილი დღეებისაგან,
ხსოვნა, რომელიც ვერ გპასუხობს სად და ვის გაჰყვე
და მათი მტვერი ეფინება ყველა იმ საგანს,
ვინც თავს ანდობდა მაგიდაზე დაყრილ იდაყვებს.

სიღრმეში ჭვრეტა და თვალები შენისლულები,
პეშვში ჩატეულ სივრცეებში თავი ჩარგული,
სხივში თამაში მტვრადქცეული ხელისგულების
და ძილ-ღვიძილის ზღვარი ხილვით ამოქარგული.

არავის ახსოვს ვინ და როგორ უსხდნენ მაგიდას,
მათ ნამცეცებსაც ათამაშებს სხივი ასევე,
როგორც წინაპარს, ისეთივე შიში აგიტანს
და ხელისგულზე მთელ სამყაროს ჩამოასვენებ.

შენ უწყი მხოლოდ

გაქცეულ ქუჩებს და შენობებს ორსართულიანს
აგურით ნაგებს, გადახურულს წითელ კრამიტით,
გავხედავ მაშინ, გზის გაკვლევა როცა რთულია
და უმიზეზოდ რომ გადამდებს წუხილს ამინდი.

აქამდე აღწევს ჩუმი სუნთქვა გარდასულების,
მათი ხილვანი ახატია ნაყოფს შეთვალულს,
როგორც სიცოცხლის გაგრძელება, არდასრულება,
ამ ფერადებით თითქოს ვინმეს შემოეთვალოს.

გზებზე წყალივით დავიღვარე და ძვლებდაშლილი
მომაქვს სხეული და ცვილივით გული მიდნება
გვამში, რომელსაც შერჩენია თვალი ბავშვივით,

მზერა, რომელშიც გაიელვებს სხივი თვითნება.

ამომცნობელო გულისა და ფარულ ზრახვათა,
შენ მეუფეო ზეცისა და წასულ-მოსულთა,
შენ უწყი მხოლოდ, სხვა ვერავინ დაინახავდა,
ცხოვრება ჩვენი ბოროტისგან რომ დაორსულდა.

* * *

ვიქნები მარტო. დუმს ოთახი. ხელში დავითნი.
აღვიდგენ ლოცვას, სინანულის სარკმელს მას ვუღებ,
ვინც მოვა ჩუმად და გამომწვარ ჩემ ძვლებს დაითვლის,
ყველა კითხვაზე მოხმობის დღეს, ვინც მიპასუხებს.

დროის შრიალი, დროის ფრთების არარსებულის,
ბრწყინვალე კვირის შვიდეული, ის შვიდი სარკე,
ანარეკლების ელვარებით გადავსებული
და გზა თავისთვის მიმავალი სიმშვიდისაკენ.

ხასხასა ბალახს ვუერთდები და ცას ავხედავ,
გამაძლებინე, როგორც ბნელში ძლებდა სანთელი,
ვიღაც ხელს მიწვდის ჩამოქცეულ სახლის თავხედან,
ისიც ჩემსავით აჩრდილი და ძვლებდასათვლელი.

* * *

მწვრთნიან ფიქრები უწყვეტელი და ღამღამობით
ვპოულობ სარკმელს გაბმულ ტანჯვის წილად შეძენილს,
ასე შემკრთალი ვარსკვლავები რად ხამხამებენ,
რა დაინახეს, რისი ხილვაც მე ვერ შევძელი?!

აქ ყველაფერი ჩვეულებრივ რიტმში ბინადრობს,
ველარ იცლიან ვეღარაფრის სანახავადა,
იხსენებს ორთქლი, იმეორებს ზუსტად იმავ დროს,
როცა დეიდა მაგიდაზე დგამდა ყავადანს.

იგივე კადრი, ფინჯნებს მშვიდად რომ ალაგებენ,
სარკე, ლიმონის ბუჩქი ტოტებჩამოხუნძლული,
ვერცხლის კოვზების მოწკრიალე ზანზალაკები,
ნათურის ბჟუტვა და ოთახი – ღამის კუნძული.

არსებობს ხილვა, იგი უფრო მართალი არი –
ის გულში ცხოვრებს და გულივით წამით მეტკინა,
ახლა იქა ვარ და იქიდან ვათვალიერებ
იმ დროს, რომელიც არ შემეძლო წარმომედგინა.

* * *

მე ვნატრობ, მქონდეს სენაკი და წამოსაწოლი,
რომ მოადგება სარკმელს ღამე და გარინდება,
დავხუჭავ თვალს და უნებლიე სიტყვას ავწონი,
გულს რომ გაივლის და უგულოდ არ აინთება.

დამავიწყდება გართობა და დრო უნდობარი,
სახლი, რომელიც დაიღალა კარის შეღებით,
დუმილის ძაფზე აისხმება ჩემი ტროპარი
და კალმის წვერით არც ერთ სიტყვას არ შევეხები.

დაუწერელი სტრიქონები გაფიქრებიდან
ვერ გამოაღწევს, ვერ შეავსებს ფურცლის საფლავებს,
დარჩება განცდა, სიტყვები კი გამიქრებიან,
დუმილის განცდას წერა-კითხვით ვერ ჩავაფლავებ.

უხმო ფარფატი

ამ ბავშვის თვალწინ გადაიქცა დაისი ფრანად,
რომ დაეკარგა მზერის ძაფს და გაუჩინარდა,
გარბოდა იგი გაჩხინკული და სიფრიფანა
და მიჰყვებოდა დღე-ღამეებს წრეზე მდინართა.

რა მომიტანა მოგონების ამ აფეთქებამ,
პეპლის ჩრდილივით წამებს შორის უხმო ფარფატი,
ფურცელი, წიგნი, პროსოდია და ანბანთქება
და წარსულიდან მოღწეული ექო ბარბითის.

გამომიწოდა შეღამებამ ბუდე ჭილყვავის,
გაოცებისგან უნებლიეთ რომ ვიღიმოდი
და ავედევნე სიბნელეში შებოჭილ ყვავილს,
რომელიც არ ჩანს და სურნელით აქვე მიმოდის.

შენ ხომ ფესვებით შეგიძლია გასცდე აზიას,
თუმც ყვავილივით სევდის ბაღში ამოსულს ჰგავდი
და ყოველივე ისევ ხელის გაწვდენაზეა,
უცნობი სიტყვის უნებლიე ამოსუნთქვამდი.

* * *

გადადინება დღიდან დღეში, ბზარში ბზარიდან
და ღამის ხმებში გაბნეული შუქის მარცვლები,
უცნობი სიტყვის ნაწყვეტები აბეზარი და
სხვა დროის ძებნა მზერის სხვაგან გადანაცვლებით.

იხილავ სურათს, აღარსად რომ აგვიანდება,
თვალებში ნაღველს, გაცრეცილი ბაგე მოგტირის,
მერე ათასგვარ სისულელის აკვიატება
და სიზმარ-ცხადი _ უხსოვარი დაგეროტიპი.

და სახეები, სახეები და სახეები,
დამალობანა, დადევნება, ხმობა, ქოქოლა,
გზები მოჭრილი, გზები უკან დასახევები,
აუტანელმა მდუმარებამ რომ ამოქოლა.

სურათზე ბავშვებს ახლანდელი შუქი შემოსავს.
ასი წლის წინათ გაელვებულ წუთის ტყვეები
გააგრძელებენ მიმდინარე დროში შემოსვლას,
მიმქრალ თვალებში ჩამალული სამოთხეები.

* * *

ხელისგულიდან ხორბლის მარცვლის ვარდნა და ბელტის
მოახლოების გახსენება, როცა ვეშვები,
ვერ მივაღწიე იმ ხნულამდე, ისე დავბერდი
და დღიდან დღეში ვმოგზაურობ ქარის პეშვებით.

სიტყვათა ჟრჟოლა, ჯერ ჩემშია თავის ფესვებით,
ნასაზრდოები ამ სისხლით და ამავ ხორცითა,
ვერც კი შემამჩნევთ, ისე ჩუმად დავითესები
თქვენი დროიდან. აქამდე რომ არ აღორძინდა.

ასონიშნები გაივლიან ფურცლის ციფერბლატს,
გააგრძელებენ გულისცემას და სამომავლოდ
ამოვა წუთი, იმ დროისა, რომ ჩაიფერფლა,
რათა სამყაროს ორჭოფული მზერა მოავლოს.

... და თამაშია სხვა ყველაფერი

დღე აღარ მყოფნის, ჩამომადნა ხელში ცვილივით, _
წუთი, გულში რომ იბზარება ელვის სადარი
და მიდის იგი და მივყავარ სახეშეცვლილი
დროში, რომელიც მიდი-მოდის და არსად არი.

ბინდშერეული, გრილი სუნთქვა ისმის ველების
და მდინარის ხმა ჭალებისკენ გადარწეული,
დასაბამიდან იქ გალობდნენ ტყის ფრინველები

და დღიდან დღეში გადაჰყავდათ ათასწლეული.

დღე დღეს გადასცემს მდუმარების ხმაში ჩარჩენილ
სიტყვებს, რომელიც არის გულთა შესაკრებელი
და თამაშია, თამაშია სხვა დანარჩენი
და თავის ნაყოფს თვითონ მოკრეფს დღეთა მკრეფელი.

არსებობს ხსოვნა და იმ ხსოვნას სიტყვა ინახავს,
სიტყვა ფიჭაა, შენ – ფუტკარი ფრთაგაცვეთილი,
დაეძებ ყვავილს და არ იცი ახლა ვინა ხარ,
მხოლოდ სიცოცხლე თუ სიცოცხლის ბოლო წერტილი.

ახალი ჟაშნიკი

* * *

ოდესღაც ჩემთან იყავ და
ერთად ვათბობდით სარეცელს,
ახლა კი ფიქრი ოხერი
შენ გარდა არვის არ ეძებს.

ჩამოივლიდე ერთხელაც _
ბინდბუნდზე, ახალ მთვარეზე,
შენი მანდილის შრიალი
გადამეფინოს თვალებზე.

აკვიატებულ გულის ხმის
გული ხომ გამგონეაო,
იის სურნელით მახსენებ
საყვარლის სუნთქვას ნიავო.

თვალი _ ხელაფარებული,
სივრცენი _ შენისლულები,
შენი ღიმილით ნათდება
სიბნელე ხელისგულების.

იამბიკო

ისიც წავიდა, კაცთა გულმავიწყობის
ხავსი მოედო, მოლმა გადაუარა,
მიწა ინახავს დუმილს უხმო სიმწყობრის
და თუ ინახავს, ესეც სათუო არი,
ეს საფლავის ქვა ჟამთა სათაურია.

თურმე არავინ იცის, სადაურია,
შობილს დროებით წამი გაითავისებს,
ქარში, ქვიშაში, ნეტავ, სად აურია?!
თვალი უსივრცო სივრცეს ჟამით აივსებს,
როცა საწუთრო თვალწინ გაიდაისებს.

მე ხომ გიხსენებ, მაგრამ როცა ძარღვები
სხივებს ისრუტავს, სიტყვით ვეძებ სათავეს,
მე ვარ ბალახი, ჩუმად სადღაც წავყვები
ცელის სიმღერას, ჩავლილ დღეთა სათივეს
თვალი მისწვდება ციდან ჩამონარღვევი.

უფლის სუნთქვაა, ძველ წიგნს რომ გადაფურცლავს,
არწევს კვიპაროსს, ცაზე ხატავს ფიგურებს
და ვარსკვლავები ღამეს როცა დაბურძგლავს,
მაშინ ვიზრდები, რადგან ვგრძნობ, რომ მიყურებს
და მას მივყავარ, ქვეყნად ვინც დამაფუძნა.

კარი ურიცხვი ჩემთვის ყოფამ დაგმანა,
სხვასაც, მრავალსაც, მზერა გადაუცელეს,
ამ საწუთროში წამით ვინც გადაგმალა,
იგი გიბრუნებს უჟამო ჟამს უვრცელესს,
სიტყვებს უცნობებს _ ბაგის ამომბურცველებს.

შაირი

იმისი სიტყვა ეძებე, ვინც ჩვენთვის დაბადებულა,
ვინც ყველგანაა მუდამ და თავის მზით განათებულა,
ნუ იარსებებ ბრიყვულად, ბრიყვებში, ამათებურად,
თავსაბურველი დროისა ყოველთვის ამათ ებურათ.

გასავსავდება ლეშისკენ, სუნს რომ აიღებს ყორანი,
ძლივს აფრინდება უძღები, გულ-გვამის ამომყორავი,
ამათ იციან სარგებლის ძებნა და გადაყოლანი,
იმავე ლეშის ჯიჯგნა და ერთურთზე ზედახორანი.

აფრინდებიან ოდესმე, თუ კი დაძრავენ სხეულებს,
შავ ძონძებს გვანან _ ღამეულ ძაძიდან ჩამოხეულებს,
გადაუფრენენ მთა-გორებს და ბილიკების ხვეულებს,
მართვეებს ლუკმებს აწვდიან ნისკარტით წამონთხეულებს.

ამათი ღამეც ღამეა და ამათი დღეც დღე არი,
შიათ _ ცუდია სოფელი, არა და _ სამოთხე არი,
მართვეც ისეთი ეზრდებათ, როგორც ის, სისხლის მთხევარი,
იქვე ზის, სადაც სკორეთი ჩამოკონკილი ხე არის.

ჩემთან რომ მოხვალ, ყორანო, სუფრას გაგიშლი ღარიბულს,
არიფი ვიყავ, ვერ გეტყვი ბრძნულ სიტყვას, ვერცა არიფულს,
ვცხოვრობდი, არად ვაგდებდი, რაღად ჩავაგდებ მკვდარი ფულს,
შენ ამოხაპავ, ამოსვლეპ თვალს ყინულივით გალიპულს.

ლეში შენ გქონდეს, ეს ძვლები ბალახით მალოს მიწამა,
გული _ სამშობლოს, სული კი _ უფალს, ვინც ჩვენთვის იწამა,
მე იმ დროს შევუერთდები, გადავიქცევი იმ წამად,
რომელიც არის ყოველთვის, ან იმის იქით ვინ წავა!

წუთი წუთს შთანთქავს, წამი _ წამს და გავილიე წამითა,
ცის ნაბზარებად ვიქეცი, გამოვკრთი ელვასავითა,
ვინც კი წასული მეგონა, ისიც კი ვერსად წავიდა,
ზოგ-ზოგი მაინც ანათებს ხსოვნათა ბნელ საცავიდან.

ეზრა

წარსულიდან ამომხედავ,
უნებურად მიხმობ, ეზრა,
მენატრება შენი აწმყო,
ჩემმა თავი მომაბეზრა.

სიმშვიდისკენ წარმავალი,
წუთს მოველი მშვიდს და მარტივს,
ამ ლოდინში, სულო ჩემო,
სანახევროდ ამოქარდი.

შენებურად უნდა ვწერო,
სადიდებელს ვიტყვი უფლის,
სიტყვას ვეძებ, ათასწლეულს
დღესავით რომ გადაუვლის.

მე ვინა ვარ?! არც არავინ.
არარა ვარ, შენ ეზრა ხარ,
საგალობლით მიაგენი,
რაც განგებას განეზრახა.

დღემდე აღწევ წარსულიდან,
ვუსმენ სიტყვას უბგერებელს,
ვისაც ასე უგალობდი,
მომავალშიც უმღერებენ.

ვინც აწმყოში მიმატოვა,
მომავალში მელოდოს ის,
შენ ხარ ჩემი მესტიხე და
ამავე დროს მელოდოსი.

ღამღამობით მესტუმრები,
მეტყვი: დამიწერე ეს, რა?!
მენატრება შენი აწმყო,
ჩემმა თავი მომაბეზრა.

ვინ იცის მტკვარო...

რას იტყვის მტკვარი?! უთქმელობას წაიდუდუნებს,
ტალღის დგაფუნი ვერ ასცდება ჯებირს ბეტონის,
ვერ შეადარებს ჭავლის ბრწყინვას ძველ სათუთუნეს _
ვერცხლისფერ კოლოფს, ეგ თვალები უიმედონი.

გაქრა განწყობა ძველებური, საელეგიო
და ჰერაკლიტეს მდინარეში სჩრია ხელები,
ეიმედება მეთევზეთა მეჩხერ ლეგიონს
მრავალ ანკესზე წამოცმული ჭიაყელები.

ჯებირზე სუფრა უმწირესი, სახელდახელო,
ჩაანაცვლებენ ქაფქაფა ლუდს სითხით მწარეთი,

თვალის მოხუჭვა, გარინდება, მერე ახელა
და ზედაპირზე ფეკალური ყოფის პწკარედი.

ვინ იცის, მტკვარო, ეგ ტალღები რას ირეკლავენ?!
ჭადრებს და ხიდებს, რესტორნების მაძღარ კონტურებს
და ცასთან ერთად შენს ტალღებზე ხატავს რეკლამებს
იგი, დღედაღამ შენს დინებას ვინც აკონტროლებს.

გახსოვდა, მაგრამ დაგავიწყდა თვითონ მეფენიც,
რომ აღიძვროდნენ მიწისთვის და იქცნენ მიწადა,
მე შენს ტალღებზე მსურდა გული გადამეფინა,
მაგრამ მიდიან და არც ერთმა არ დამიცადა.

ახალი ხმების და მიმქრალი ხმების სინთეზი
და ცვალებადი უცვლელობის ტყუილ-მართალი,
შეუბღალავი და გაცვლილი ვერცხლზე სინდისი,
შენი დინება მშობლიური და უმართავი...

რასაც იჭერდნენ მეთევზენი _ ისევ იჭერენ,
ზოგიერთები ერთობიან სხვათა დაჭერით,
სისხლი სიტყვიდან მომდინარი ვერ შევიჩერე
და წავიფარე ჭრილობაზე ზეცის ნაჭერი.

მხოლოდ თვალებით ნაღვლიანით, ხმით კი არ კვნესენ;
დუდუნებს მტკვარი, უთქმელობის ამბავს რომ ჰყვება,
დროის მორევში გადაშვებულს ვგავართ ანკესებს
და წუთს მომავალს, ვინ გაიგებს, რა ამოჰყვება.

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია,
ახალნი თუ დაგშორდნენ, ძველნი მარად შენია,
გარდასული დიდების მეტი რა დაგრჩენია,
განვლე კინკლაობაში შენ სიცოცხლის დღენია,
გულისგულში მბჟუტავო, რაზედ მოგიწყენია?

ხვალ რა უნდა მოიმკა, თუკი დღეს არ დათესავ,
ანდა რით ანუგეშებ ქვრივ-ობლებს და ნათესავს?!
თუ მომავლის არ გჯერა, აწმყო მაინც შენია,
ოცნებაში გალიე შენ სიცოცხლის დღენია,
სულთა ჩვენთა სალბუნო, რაზედ მოგიწყენია?

თუკი რამ გაგაჩნია _ ძველად ანაშენია,
უსასრულო ლოდინი მძიმე განაჩენია,
ჩაგენავლა თვალებში შენ დიდების ბჭენია,

განვლე უდარდელობით ამა სოფლის დღენია,
ნეტავ, რამ გაგახარა ან რად მოგიწყენია?

საიდუმლო ბარათი

საიდუმლო ბარათო,
ვერ გაქცია არადო
ჟამმა მიტოვებულმა
ბედის ანაბარადო.

უთენებელ ღამეში
აწ ფიქრები მკლავენ შინ
და უმწეოდ ვფართხალებ
წუთისოფლის მკლავებში.

ვტირი, ცრემლი აღარ მდის,
სიტყვა აღწევს დაღამდი.
რატომ აღარ თენდები,
ასე როგორ დაღამდი?!

უმწარესო სახადო,
არას მეტყვი საღადო,
სიტყვით თუ წამომცდები,
დარდო ათასნახადო.

გულში გასანასკვავო,
ჩემო ბედის ვარსკვლავო,
შენი შორი ნათებით
არც მაცოცხლებ, არც მკლავო.

მოთმინება ვისწავლე,
მოდი, სნეულს მიწამლე,
ღმერთო, მათ გამაყოლე,
შენს სიტყვებში ვინც წავლენ.

საიდუმლო ბარათო,
მარად უნდა ანათო,
ჟამმა ჩემში ჩაგტოვა
ხსოვნის ანაბარადო.

«კიდევაც ვნახავ გაზაფხულს...»

იმ შროშნის ბედი ინატრე,
თვალს რომ გაახელს ნამიანს,
არც დაფიქრდება ცხოვრება,
რომ ჩავლილ ჩრდილთა ჩქამია.

მხოლოდ ფესვებით ეძებე,
რაც ღმერთში საძებნელია,
ლოცულობ, ნათლით ივსები,
დარდის მზე ძალზე ბნელია.

ფრინველის ბედი ინატრე,
იფრინე, ბუდისაკენ კი
გზად სიტყვის მარცვლებს იპოვნი,
ეგაა შენი საკენკი.

წინაპრის სიბრძნეს უსმინე,
ერთხელ დათმენაც სცადეო:
_ ვდიე და ვერ დავეწიე,
დავჯე და დავუცადეო.

ააჩხაკუნე ფანდური,
სიტყვაში გული ჩადეო,
თურმე, რაც მძიმე გეგონა,
არის ბუმბულზე მჩატეო.

ამსუბუქდება ნაბიჯიც,
გზას უნებლიედ მოძებნი,
მზე დაგიფარავს სიშიშვლეს
ჩამოკონკილი ძონძების.

შენ ერთ გაზაფხულს ელოდი,
მაგრამ იმ ერთმა იასა,
კიდევაც იგრძნობ სურნელით
ჯაგთან მოარულ იასა.

შენამდეც ბევრმა იარა
და გზა შენსავით ეძება,
დროდადრო შენი კალამიც
სისხლში თავისით ეწება.

რა მსუბუქია მიწა და
შენც ფეხადგმული მიწა ხარ,
იმ სიტყვის ექო, ერთხელ რომ

უფალმა ამოიძახა.

სიმღერა

შენ რას მოიგებ, ლექსის წერით სხვამ რა მოიგო,
შეეშვი წერას, ივაჭრე და დროზე მოი გონს.

უნდა მიბაძო ფართლის ვაჭარს, ანდა სოვდაგარს,
იმ ჭიას ჰგავხარ აბრეშუმის რომ იქსოვდა გარსს,
ნუ მოიწყინე, გაატანე შავი სევდა ქარს.

ღვინოვ კახურო, რქაწითელო და აგრე შუმო,
იქნებ ცხოვრება, ანუ ჯვალო ააბრეშუმო.

* * *

ჩამქრალ დღეების ფერფლი
მიეფინება საგანს,
ქრება ფარფატი პეპლის _
უსათუთესი საგა.

ბგერას მოება ბგერა
მდუმარებაში რგული,
გამალებული ძგერა
ამოვარდნილი გულის.

ისევ დინება არსად
შეუჩერებელ წამის,
იქცა ტკივილი არსად
განუკურნელი ჟამის.

მახსოვს წუთები ვარდნის
და რაც სიტყვებით ვაგე,
წაიჩურჩულებს ვარდის
სურნელოვანი ბაგე.

ვიღაც მეძახის მაღლა,
თავის აწევა არ მსურს
და ყოველივე ახლა
რად იმეორებს წარსულს?!

მთვარის სიმღერის ტონი
გულს მოედება ხავსად,

იკვეთებიან რტონი
იეროგლიფთა მსგავსად.

ამოუკითხავ ღამის
ამოუცნობელ ამბავს
თითს გააყოლებს წამი
შავი ჩრდილების ანბანს.

ვამბობ, განვიცდი რასაც,
და განცვიფრებაც ახსოვს
ჩემს წამოცდენილ ხმასაც _
მთვარის დუმილით ნაქსოვს.

გიხმობ: _ სადა ხარ, სადა?!
სუნთქავს სიბნელე ხევის,
სიტყვას დავეძებ სადაგს
გულის სიმების რხევის.

სავანე - მაგიდა

საღამოს ვარსკვლავი, ღია ვარდისფერი,
ფანჯრებს და სარკეებს ციმციმით შეუვლის,
ხსოვნის დერეფანში ისე დადის ბერი,
როგორც დღე და ღამის მოძრავი შვეული.

მთვარით განათდება მკათათვის ყანები,
მოელის კარსმომდგარ კალოობას,
დააცხრობს ძარღვებში ჩამდნარ მრისხანებას
ძველი პოეტების ბულბულის გალობა.

დუმილით შევწვდები ბგერას უკიდურესს,
უხმოდ გადმომდინარს ვარსკვლავის ბაგიდან,
გადამავიწყდება მზერა უკეთურის,
ისევ შემიფარებს სავანე _ მაგიდა.

ჩემს ფიქრებს უძველეს ნათქვამით შებოლილს,
ღიმილით მოვიმკი ცრემლებით დათესილს,
ის მოდის ყოვლის და ყოველთა მშობელი,
სიტყვიდან ამოჰყავს მზე უდიადესი.

* * *

გადამავიწყდა შენი სახელი;
შეწითლებული მზის ლალებითა
მიფენილია კლდეზე ძახველი,
სისხლის ცრემლებად მდის თვალებიდან.

ზვრები, ბაღები, მთების კონტური,
ვის შეიძლება რომ არ უყვარდეს,
მაგრამ მომბეზრდა თავის კანტური
და გზა, რომელიც მაუკუღმართებს.

და თვალებიდან გამობჟუტული,
როცა იმედი გამოასხივებს,
მიმავიწყდება ძველი ბჟუტური,
წლები, რომლებიც ჩამომასხიპეს.

საით მიდიხარ, მოხველ საიდან,
ბერი, მებრძოლი და კირითხურო?!
იქცა ცხოვრება ოხერ საიტად
და თითქოს ვცოცხლობ, როცა ვკითხულობ.

ვარ განდეგილი და უამსოფლოს
მაინც შემომრჩა სული მედგრული,
ნეტავ, არ მქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ბედკრული.

* * *

ფიქრში გადავმალე ჩვეული საქმენი,
მას მერე საწუთრომ რაც შემაჯანჯღარა,
ეს ტელევიზორი მგონია სარკმელი,
რომელმაც უარყო ნამდვილი ფანჯარა.

და სამზარეულო _ მსუნაგი საკანი,
არც ქუჩას უყურებს და აღარც ამ ეკრანს,
ამინდი ნოემბრის, არ მაქვს გასაქანი
და რადგან არა მაქვს, ხომ არ გადამეკრა?!

უცნობი წიკვინებს გეიეკრანიდან,
ფანჯრიდან ძლივს აღწევს ჩიტების ჟივჟივი,
მე მგონი, ამჯერად, ბარგის შეკვრა მინდა
და ბზარში ჩამალვა უკვდავი შიშივით.

პარმაღზე პირველი ნაბიჯი მეკვლესია,
გადავდგამ, მაოცებს ნაბიჯის სინედლე,
მიყვარს ღატაკებით მდიდარი ეკლესია,
წმიდაო მარიამ, მეც ხომ შემიკედლებ?!

ს ა რ ჩ ე ვ ი

ქორონიკონი

ქორონიკონი;
* * * (... და ეს დღე სიმია, მისი ხმა დილიდან);
* * * (... და ეს ხმა წვეთია, გაფანტულ ხმებიდან);
* * * (ქელეხის სუფრისკენ ქაოსურ მსვლელობას);
შუადღე;
* * * (ჩვეულებრივი ბინდი არი);
* * * (ქუჩების ზიზღნარევ თვალებში გათანგვა);
* * * (ეს შენი ცა არი, თვალებით სადაც გინდა);
გარეუბანი;
* * * (სადაც თვალს აბჟუტებს მზე _ ბებერი ლომი);
უღლება;
* * * (უსმენ შემოდგომის ფოთლებს მოჩურჩულეს);
ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილი;
საფლავი ცაში;
* * * (დუმილში ჩატოვე გაფიქრება);
თანაიმქვეყნელი;
* * * (პწკარები ჩნდებიან, როგორც ნაოჭები);
აფთიაქთან;
* * * (ჩამქრალა ხალისი, ოდესღაც გადამდები);
* * * (ვზი და ვიხსენებ დუქანს, «თელიანს»);
დღე-ღამის «მინი-რალი»;
* * * (აღარ გეძინება, რაღაც გაიბზარა);
* * * (ჩაქრა სინათლე);
* * * (არც დამშვიდობება, არც სადმე გაქცევა);
გაქრობის შიში;
ინტელექტუალეთი;
N-ს;
* * * (ბარის ბარბაროსთა ხივილი);
* * * (ის მზე რომ ჩავიდა, შენში ჩაიმალა);
* * * (სველ ფილაქანზე ილექება მქრქალი ლანდები);
ნაკვალევი;

ღამის ოთახი;
საღამოს ძილი;
წიგნისათვის _ Angelus Philologicus;
«პახმელია»;
ლექსი, რომელიც დამხვდა მაგიდაზე;
03;
ქალაქის ბაღი;
* * * (მოსწონს ანარეკლი ხიდს ხიდის);
ხმის შეცვლა;
მოხუცი ცოლ-ქმარი;
* * * (ჩამალულია იგი შენში თანდათანობით);
* * * (ახლა რა აზრი აქვს იმ დღის მონატრებას);
ფოტოგრაფის სიკვდილი;
* * * (ამ ოთახს უყვარდა ქაოსის სიმწყობრე);
გამვლელი;
* * * (თავის ჟამს ელის ყოველივე, ვიდრე ამოვა);
* * * (.... და პენსიაზე ბევრად მეტი აქვთ);
* * * (უჯრაში გოგონას სურათი);

ზაფხულის ღამის მუსიკა

ზაფხულის ღამის მუსიკა;
მოლოდინის გათენება;
საღამოს პრელუდია;
გრამატიკული თამაში;
* * * (ხავსად ამოსვლია ქვას დუმილი);
ალიზის ლექსი;
გზა არპეჯიოსკენ;
ეტიუდი №7;
* * * (იქამდე გზა არის უმოკლესი);
* * * (თვალს აარიდებ საწყალ მტრის თვალებს);
* * * (გრძელდება ის ჟამი, სიტყვა რომ ინახავს);
* * * (მზის სხივი, კვამლი დამწვარ ფოთლების);
ჩინური მოტივე;
ჩინური გრავიურა;
კვიპაროსის ცა;
ძველი ფოტოსურათი;
* * * (მდინარე _ ბავშვობის სიმბოლო);
* * * (დასრულდა მიწის ამობელტვა);
პარკის ქსოვა;
ლოკოკინა;
* * * (აქ ორი სივრცეა და დროც ორი არი);
თელავის გახსენება;
* * * (სიჩუმის სიღრმეს ვერ ჩაწვდება ჩემი გარინდვა);
* * * (ვინ ათვინიერებს მარტის თვეს);
* * * (მიყურებ, როგორც მომავალ მიწას);

ეპიტაფია;
* * * (გაწვიმდა, როგორაც გაწვიმდა);
ფერადები;
* * * (რაც მომავალში უნდა დავკარგო);

სუნთქვის სივრცე

დაო სიდონია;
ტერეზა კალკუტელს;
საღამოს ლოცვა;
* * * (ჭეშმარიტება არ დაცდება ცბიერ ბაგეებს);
ხმამ ხმას რა ჰკითხა?!;
* * * (როცა ავხედე ზეცას);
სუნთქვის სივრცე;
ვინც ჩვენთვის ლოცულობს;
სად წახვედი, ნეტავ, საპყარო?!;
* * * (აქ პური სუნთქავს);
* * * (რატომ დამშორდი);
საღამოს ჩაი;
საღამოს ყვავილი;
ორი დრო;
გუბე;
შინ დაბრუნება;
დილის პური;
* * * (გპოულობ ფერში);
* * * (ხსოვნას არ უნდა, გაგაცალკეოს);
* * * (ვარ ჯერჯერობით);
* * *(ამ სტრიქონებით რა წვალებით ვჩორკნე აკვანი);
ბგერათა სუნთქვა;
შენ საით მიხვალ?!;
* * * (ვინც დაივიწყა გაახსენდა და შეეშინდა);
შენ უწყი მხოლოდ;
* * * (ვიქნები მარტო);
* * * (მწვრთნიან ფიქრები უწყვეტელი);
* * * (მე ვნატრობ, მქონდეს სენაკი);
უხმო ფარფატი;
* * * (გადადინება დღიდან დღეში);
* * * (ხელისგულიდან ხორბლის მარცვლის ვარდნა);
... და თამშია სხვა ყველაფერი;

ახალი ჭაშნიკი

* * * (ოდესღაც ჩემთან იყავ და);
იამბიკო;
შაირი;
ეზრა;
ვინ იცის მტკვარო;
* * * (ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია);
საიდუმლო ბარათი;

«კიდევაც ვნახავ გაზაფხულს...»;
სიმღერა;
* * * (ჩამქრალ დღეების ფერფლი);
სავანე – მაგიდა;
* * * (გადამავიწყდა შენი სახელი);
* * * (ფიქრში გადავმალე ჩვეული საქმენი).